

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი



შეჯიბრებითობის პრინციპის ქართული მოდელის  
თავისებურებები

ნიკა ბერიძე

ხელმძღვანელი: ირინა აქუბარდია

თსუ, ასოც. პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი

2019

## სარჩევი

შესავალი .....	3
<b>თავი I. სისხლის სამართლის პროცესის ისტორიული ფორმები .....</b>	<b>7</b>
1.1. ბრალდებითი პროცესი .....	7
1.2. სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი .....	8
1.3. შეჯიბრებითი პროცესი .....	11
1.4. შერეული პროცესი .....	14
1.5 შეჯიბრებითობა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის პრინციპი .....	18
1.5.1 შეჯიბრებითობის პრინციპის ისტორიული ექსკურსი .....	20
1.5.2. შეჯიბრებითობის პრინციპის არსი და მნიშვნელობა .....	23
<b>თავი II. შეჯიბრებითობის ქართული მოდელი .....</b>	<b>26</b>
2. 1. შეჯიბრებითობა საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში .....	26
2.1.1. შეჯიბრებითობა გამოძიების ეტაპზე .....	28
2.1.2. შეჯიბრებითობა სასამართლო პროცესზე .....	31
2.1.3. მოსამართლის როლი მხარეთა შეჯიბრებითობისას .....	35
2.1.4. შეჯიბრებითობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში .....	36
<b>თავი III. პრობლემური საკითხები კანონმდებლობასა და პრაქტიკაში .....</b>	<b>39</b>
<b>თავი IV. შეჯიბრებითობის პრინციპი საზღვარგარეთის ქვეყნებში .....</b>	<b>43</b>
4.1. შეჯიბრებითობა ანგლოსაქსური სამართლის სისტემაში .....	43
4.2. შეჯიბრებითობა კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში .....	45
<b>დასკვანა .....</b>	<b>47</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა .....</b>	<b>50</b>

## შესავალი

სამართლიან სახელმწიფოში პიროვნების მოქალაქის პრიმიტი აღიარებულია და განმტკიცებულია კონსტიტუციასა და სხვა კანონებში. თუმცა, სამართლებრივი აქტების ცნობა და იერარქიაში მათთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭება საკმარისი არ არის, საჭიროა მათი რეალიზაცია პრაქტიკულ საქმიანობაში.

აღსანიშნავია, რომ უკნასკნელ წლებში საქართველომ ევროპასთან ინტეგრაციის მიზნით არაერთი დემოკრატიული რეფორმა განახორციელა, რომელთაგან ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ქვეყნის დემოკრატიულობის უმნიშვნელოვანესი საზომია, საჭიროა იგი ადამიანის უფლებებზე იყოს ორიენტირებული.

XX საუკუნის ბოლოს, დამოუკიდებელ საქართველოში დაიწყო სამართლებრივი რეფორმები, რომლებიც შემდეგში კიდევ უფრო ინტენსიური და შეუქცევადი გახდა. ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა საჭიროებდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი იყო ქვეყნისათვის აუცილებელ ევროპულ სტრუქტურებში გასაერთიანებლად. სწორედ ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნით გახდებოდა შესაძლებელი იმის განსაზღვრა, განვითარების რომელ კურს ირჩევდა ქვეყანა - რჩებოდა ტოტალიტარული რეჟიმის მიმდევრად თუ მტკიცედ დაადგა დემოკრატიული აღმშენებლობის გზას. პირველი სერიოზული ნაბიჯი ამ კუთხით 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციით გადაიდგა, რომელშიც გამოიკვეთა სახელმწიფოს კურსი. მასში აისახა არაერთი ფუნდამენტური, დემოკრატიული ღირებულების მქონე დებულება, რომელიც შემდეგ სხვა ნორმატიულ აქტებში იქნა რეგლამენტირებული. საკანონმდებლო სიახლეები შეეხო სისხლის სამართლებრივ სფეროსაც.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ კონსტიტუციაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრეთობის საფუძველზე. ამ დებულებამ შესაბამისი ასახვა ჰპოვა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. უნდა ითქვას, რომ გამოჩენილი რუსი მეცნიერის, ი. პეტრუხინის მიერ მომზადებულ კოდექსის პროექტს პროფესორ გია მეფარიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილმა სამთავრობო კომისიამ სერიოზული გადამუშავების შემდეგ დასრულებული სახე მისცა.

აღნიშნული კოდექსის მიღებით საბოლოოდ ეთქვა უარი დრომოქმულ ინკვიზიციურ პროცესს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არა ადამინის უფლებების დაცვის გარანტი, არამედ მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვის და ავტორიტარული რეჟიმის გამტკიცების ერთ-ერთი საუეთესო საშუალება იყო.

2009 წელს მიღებულმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელიც მთლიანად მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული, სრულიად ახლებურად დაარეგულირა სისხლის სამართლის პროცესის მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, დასაშვებობისა და სასამართლოს მხრიდან მათი შეფასების წესები. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი 2010 წლის ოქტომბერში ამოქმდედა და დღემდე არაერთი ცვლილება განიცადა, დაკავშირებული ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება დღემდე მაინც ვერ მოხერხდა.

**თემის აქტუალურობა** მომდინარეობს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან, რომელმაც თვისობრივად ახლებურად მოაწესრიგა სისხლისამართლებრივი სამართალწარმოების ზოგიერთი ფუნდამენტური საკითხი. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს სისხლის სამართლის პროცესში, შეჯიბრებითი მოდელის დამკვიდრება წარმოადგენს. მოცემებული მოდელი სამართალწარმოების მხარეებს მისცემს თანაბარ შესაძლებლობებს, გავლენა მოეხდინათ მართლმსაჯულების განხორციელების მიმდინარეობაზე.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლისამართლის დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა შეჯიბრითობის საფუძველზე. შეჯიბრითობა მხარეებს შორის გარანტირებულია, როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე.<sup>1</sup> აღნიშნული პრინციპი თანაბარ მდგომარეობაში და პირობებში აყენებს მხარეებს მათ მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, მოსამართლის წინაშე მათი წარმოდგენის, გამოკვლევისა და ანალიზის მხრივ.

თემის აქტუალურობა ასევე მომდინარეობს იქიდან, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემოკლებით სსსკ), შეიცავს მთელ რიგ საკანონმდებლო ხარვეზებს, რაც განაპირობებს მხარეთა შეჯიბრითობის პრინციპის დარღვევას. საბოლოოდ, კი სისხლის სამართლის პროცესის ხარვეზები განაპირობებენ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას, რამდენადაც მხარეთა

---

<sup>1</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი, 2009 წ.

შეჯიბრებითობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთერთი ფუნდამენტური პრინციპია.

ზემოთ აღნიშნული დარღვევების გარდა, რიგ შემთხვევებში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცხადი რეგულაციების არარსებობა ქმნის მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის დამატებით რისკებს.

**ნაშრომის მიზანი და ამოცანა** არის სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის გასაძლიერებლად წარმოჩინდეს ის ძირითადი პრობლემები, რაც არსებობს და უკავშირდება აღნიშნულ საკითხს და შესაბამისად მომზადდეს რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება ბრალდებისა და დაცვის მხარეების თანაბარ შესაძლებლობებს სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან საბოლოო ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანის ჩათვლით.

მოკლედ შევეხებით იმ ცვლილებებს, რომლებიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2004 წლის თებერვლიდან შევიდა და რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა შეჯიბრებითობის ფუნდამენტური პრინციპის დაცვის საკითხი. საქმე ეხება როგორც ფუნქციების, ისე სხვა უფლებამოსილებების გაზრდას ბრალდების მხარის სასარგებლოდ, რითაც ფაქტიურად დაკნინდა შეჯიბრებითობის როლი და მნიშვნელობა. აღნიშნული პერიოდიდან განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა არა მარტო შეჯიბრებითობის პრინციპს მიაყენა ზიანი, არამედ სამართალწარმოებაშიც სრული ქაოსი შეექმნა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ რა ცვლილებები განიცადა საპროცესო კანონმდებლობამ მიღებიდან დღემდე მხარეთა თანასწორობის კუთხით, რა ნაბიჯები გადაიდგა კონკრეტულად ლიბერალიზაციის გზაზე, რა შედეგი მივიღეთ და სამომავლოდ რა მიმართულებით უნდა დაიხვეწოს კანონმდებლობა. სწორედ ამ ამოცანების გადაჭრის მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს დასახული კვლევა.

**კვების მეთოდოლოგია.** ნაშრომში გამოყენებულია ანალიტიკური, ისტორიული და შედარებითი სამართლებრივი მეთოდი. საკვლევნი ინფორმაციის შეგროვება მოხდა სხვადასხვა წყაროებიდან.

კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა როგორც საქართველოს კანონმდებლობა მათი აკადემიური კომენტარები, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, ასევე ქართველი და უცხოელი მეცნიერების

ნაშრომები და კვლევები. კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი წარმოადგენს, შესაბამისი დასკვნებით და რეკომენდაციებით, რამაც, ერთობლიობაში, ხელი უნდა შეუწყოს სქართველოში ამ მიმართულებით ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და საქართველოს საერთო სასამართლოების მხრიდან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.

საბოლოოდ, კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს და ქმნის პრობლემებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რის საფუძველზეც შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები.

**ნაშრომის სტრუქტურა:** ნაშრომი შედგება შესავალისა, 4 თავისა და დასკვნისაგან. თავები დაყოფილია ქვესაკითხებად.

# თავი I. სისხლის სამართლის პროცესის ისტორიული ფორმები

## 1.1. ბრალდებითი პროცესი

შეჯიბრობითობის ინსტიტუტს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ყველაზე ძველია პროცესის კერძო-შეჯიბრებითი ტიპი, რომელსაც კერძო-სასარჩელო ან ბრალდებითსაც უწოდებენ, ვინაიდან პროცესში მთავარი იყო ბრალდება, რომლის გარეშეც სქმის წარმოება ვერ დაიწყებოდა. ეს პროცესი კი შეჯიბრებითი ხასიათისაა, ანუ ეს არის თანასწორუფლებიან მხარეთა კამათი მათგან დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე.

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად შინაარს წარმოადგენს ბრალდებისა და დაცვის ფუნქციების გამოყოფა მართლმსაჯულების ფუნქციისგან და მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან, მხარეების აღჭურვა თნაბარი საპროცესო უფლებებით და სასამართლოს დომინირებული როლის გადაწყვეტილების მიღებაში.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ ძველად სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო ფორმები არ იყო მკაფიოდ გამიჯნული ერთმანეთისაგან. ასეთი რამ დამახასიათებელია მხოლოდ თანამედროვე სამართლისთვის. იმ პერიოდში კი კანონის თავისებურებანი, რელიგიური ნორმები და კერძო ინტერესები ერთმანეთში იყო არეული.<sup>3</sup>

როგორც ცნობილია, საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრობითობა მიზნად ისახავს მტკიცებულებათა შეკრებას. გამონაკლისი არც განსახილველი პერიოდია. იმ დროს ბრალდებითი პროცესი ფორმალური იყო, რაც მტკიცებულებათა მოძიებასა და წარმოდგენის პროცედურაზედაც აისახებოდა.

მტკიცებულებათა სისტემა ძველი ბრალდებითი პროცესის დამახასიათებელი ნიშანია. საზოგადოება არ ფლობდა შემეცნების ადეკვატურ საშუალებებს და სამართლიანობის გასარკვევად ღმერთს მიმართავდა. ამიტომ ბრალდებით პროცესში მტკიცება მიმართული იყო არა საქმის არსისკენ, არამედ მის გარეთ - ზებუნებრივი ძალებისაკენ. მტკიცების საშუალებად გვევლინება ორთაბრძოლები, ორდალიები

<sup>2</sup>აქუბარდია ი., მხარეთა თანასწორობისა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, იხ. შხია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებულში, გამომცემელი „იურისტების სამყარო“ 2017 გვ 130.

<sup>3</sup>Смирнов А. В. Модели уголовного процесса. СПб., 2001; 27-28.

(„ღვთიური სამართალი“ ცეცხლით, წყლით, რკინით გამოცდის სახით), განწმენდითი ფიცის დადება. ღმერთი მოდავეთა სამართალს იმით განსაზღვრავდა, რომ რთული შეჯიბრების მოგებაში ეხმარებოდა. მტკიცების პროცესი მკაცრად ფორმალური იყო.<sup>4</sup>

ამრიგად, ბრალდებითი პროცესი წარმოშობს ფორმალურ მტკიცებულებათა სისტემას, ვინაიდან სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს განაჩენი შეჯიბრების შედეგების მიხედვით, რომელსაც ფორმალური სფუძველი აქვს. მოსამართლეს თავისუფლების მინიმალური ხარისხი აქვს - ის შეჯიბრების შედეგების უბრალო მოწმეა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბრალდებითი პროცესის მტკიცების წესების გმარტების თავისუფლება მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასების ჩანასახია<sup>5</sup>

## 1.2. სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი

მიჩნეულია, რომ სისხლის საპროცესო სამართლის განვითარების მეორე ეტაპს სისხლის სამართლის პროცესის სამძებრო ტიპი ახასიათებს. სწორედაც, რომ ძებნა, როგორც ჭეშმარიტების ძიება საჯარო ინტერესებისათვის, განსაზღვრავს სამართალწარმოების ამ ტიპის სახელწოდებას.

კერძო-შეჯიბრებითი პროცესის სამძებროთი შეცვლა კანონზომიერი იყო. დანაშაულის საზოგადოებრივი სამიშროება არის იმის მიზეზი, რომ ადამიანის პიროვნების დაცვა და დამნაშავის დევნა საერთო საქმე ხდება. ამ საერთო საქმეს კისრულობს ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელიც საერთო კეთილდღეობას სწირავს ცალკეულ პირთა კერძო ინტერესებს. უპირველეს ყოვლისა, სამძებრო პროცესის განვითარება გამოწვეული იყო, ვაჭრობის გაძლიერებული დაცვის აუცილებლობით.<sup>6</sup>

მეტად მნიშვნელოვანია აღინიშნოს სამძებრო პროცესის დამახასიათებელი ნიშნები, ესენია: ბრალდების, დაცვის და საქმის გადაწყვეტის საპროცესო ფუნქციების შერევა, მტკიცებულებათა შეფასების ფორმალური სისტემის არსებობა.

---

<sup>4</sup> Чельцов-Бебутов М. А. Очерки по истории суда и уголовного процесса в рабовладельческих, феодальных и буржуазных государствах. Т. 1. М., 1957; 189-195.

<sup>5</sup> იქვე . 43/.

<sup>6</sup> Чельцов-Бебутов М. А. Очерки по истории суда и уголовного процесса в рабовладельческих, феодальных и буржуазных государствах. Т. 1. М., 1957, 211.



პროცესის სამძებრო ტიპის არსი და მისი მთავარი ნიშანი არის საჯარო საწყისის მიერ კერძოს შთანთქმა. ეს ნიშანი კი პროცესის ძირითად მონაწილეთა საპროცესო მდგომარეობაში გამოიხატება. <sup>7</sup> ე.წ. საგამოძიებო (ინკვიზიციური) პროცესი დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესისთვის. მეტი თვალსაჩინოებისთვის, საგამოძიებო (ინკვიზიციური) პროცესში საქმის გარემოებათა გამოვლენის პრივილეგია არა მხარეებს, არამედ სისხლის სამართლის მწარმოებელ სახელმწიფო ორგანოებს ეკუთვნის, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო პროცესი ატარებს ინკვიზიციურ ხასიათს.

სახელმწიფო ინტერესების რეალიზაციისთვის სასამართლომ უნდა გაარკვიოს ობიექტური ჭეშმარიტება და ამის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს საქმე. იგი პროცესს ფორმალური ბრალმდებლის გარეშე იწყებს, თვითონ აყენებს საბრალდებო თეზისს და მტკიცებულებით ამყარებს მას (ასრულებს ბრალდების ფუნქციას). ჭეშმარიტების დასადგენად სასამართლომ უნდა წამოაყენოს და შეამოწმოს საწინააღმდეგო ვერსია - დაცვითი თეზისი (დაცვის ფუნქციას ასრულებს). გარდა ამისა, საქმის გადაწყვეტა (ასრულებს იურისტის ფუნქციას) ასევე სასამართლოს პრეროგატივაა. სამი საპროცესო ფუნქციის ერთი სუბიექტის ხელსი თავმოყრა არ იძლევა საშუალებას, ის ჩაითვალოს „სასამართლოდ“. ესაა მოსამართლე ინკვიზატორი, თანამდებობის პირი, სახელმწიფო ორგანო, რომელიც საქმეს აწარმოებს. ის პროცესის ერთადერთი ქმედუნარიანი მონაწილეა, რომელიც არ არის შეზღუდული რაიმე საზღვრებით.<sup>8</sup> თუმცა თანამდებობის პირს, რომელიც ძებნას აწარმოებს, გაბატონებული მდგომარეობა უკავია მხოლოდ როგორც სახელმწიფო ორგანოს. როგორც პიროვნება, ის პირიქით, ისევე ქმედუნაროა საპროცესო თვალსაზრისით, როგორც ბრალდებული.

აღსანიშნავია, რომ ძებნის საჯარო საწყისი ზღუდავს მოსამართლის პიროვნულ თავისუფლებას. ყველა მისი მოქმედება კანონით მკაცრად არის რეგლამენტირებული. მოსამართლე-ინკვიზიტორს პრაქტიკულად არ აქვს არჩევანის თავისუფლება. მისაღებ გადაწყვეტილებაზე ვერ ახდენს გავლენას, რადგან ზემდგომი ინსტანციები აკონტროლებენ. ყოველივე ამის ნათელი მაგალითია

<sup>7</sup> Мещеряков Ю. В. Формы уголовного судопроизводства. Л., 1990, 22.

<sup>8</sup> Мещеряков Ю. В. Формы уголовного судопроизводства. Л., 1990, 65-66.

მტკიცებულებათა ფორმალური სისტემა, რადგან მათი შეფასება წინასწარ არის დაწესებული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინკვიზიციურ პროცესში ბრალდებული მოიაზრება დამნაშავედ, მას მტკიცების ტვირთი ეკისრება. ბრალდებულს დამნაშავედ თვლის არა მარტო კანონი, არამედ სასამართლოც. მოსამართლეს დამნაშავეა, თუ ის ამართლებს დამნაშავეს.<sup>9</sup>

სამძებრო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია **ოფიციალურობა** (თანამდებობრივი ინიციატივა). რაც ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის პროცესში თანამდებობის პირთა და ორგანოთა ვალდებულებას, საკუთარი ინიციატივით დაადგინონ ჭეშმარიტება და გადაწყვეტილებები დაინტერესებული პირების ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად მიიღონ. <sup>10</sup> უფლებამოსილებები ძეგნის მწარმოებელი ორგანოს ხელშია კონცენტრირებული. მოსამართლე-ინკვიზატორი ზემდგომ ხელმძღვანელს ემორჩილება. ჩნდება საქმის მოძრაობის ინსტანციურობა. სამძებრო პროცესისთვის დამახასიათებელია საზოგადოებაში ძალაუფლების ერთი პირის - დესპოტის ხელში თავმოყრა.<sup>11</sup>

სამძებრო პროცესის შემდეგი მნიშვნელოვანი პრინციპია **ინსტრუქციულობა**, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებათა ზედმეტად დეტალური რეგლამენტაციაა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ოფიციალურობა განსაზღვრავს საქმის მოძრაობის წყაროს, ხოლო ინსტრუქციულობა პროცესის მიზნის მიღწევის გზაზე, ხერხზე მიუთითებს და იმის გაგების შესაძლებლობას იძლევა, თუ როგორ ამოქმედდება საპროცესო მექანიზმი.<sup>12</sup> რეგლამენტაცია პროცესის მიზნის მიღწევის ერთადერთი გარანტიაა და გარკვეულ ჩარჩოებზე მითითებით და ზღუდავს სახელმწიფო ორგანოს ძალაუფლებას.

ინსტრუქციულობის პრინციპიდან გამომდინარეობს:

1. მტკიცებულებათა ფორმალური სისტემა;
2. საპროცესო ფორმის უნიფიკაცია;
3. სისხლისამართლებრივი დევნის საფუძვლების რეგლამენტაცია.<sup>13</sup>

<sup>9</sup>Фойницкий И. Я. Курс уголовного судопроизводства. Т. 1., СПб., (Переиздание 1996 года) 66.

<sup>10</sup>Полянский Н. Н. Уголовное право и уголовный суд Англии. М., 1969; 8

<sup>11</sup>Смирнов А. В. Модели уголовного процесса. СПб., 2001,125.

<sup>12</sup>იქვე.31.

<sup>13</sup>ბენიძე დ., შეჯიბრებითობის თავისებურება ბრალდებით და სამძებრო (ინკვიზიციური) ტიპის პროცესში. თბილისი 2010წ გვ.9

მტკიცებულებათა ფორმალური არსი ისაა, რომ მოსამართლე მტკიცებულებებს მისთვის „გარეშე“ კრიტერიუმებით აფასებს. ისინი დეტალურად არის მითითებული კანონში ან სასამართლო დოქტრინაში, რომელიც ადგენს მტკიცებულებათა ძალას.

აღსანიშნავია, რომ სამმებრო პროცესისთვის დამახასიათებელია სამართლებრივი რეგულირების თავისი, ტიპური მეთოდი. რეგულირების საგანია მართვითი ურთიერთობები, რომელშიც მართვის ობიექტია არა წარმოების პროცედურა, არამედ თავად მისი მონაწილეები. სამართლებრივი რეგულაციები კი მხოლოდ იმპერატიული მეთოდით ხორციელდება.

ცალკეულ ქვეყნებში სამმებრო პროცესის განსხვავებულობის მიუხედავად, მისი სამი ფორმა გამოიყოფა: 1) რომაულ-გერმანული, 2) საერთო სამართლის ქვეყნების და 3) ტრადიციული სამართლის ქვეყნების. რაც შეეხება მუსლიმანურ სამართლებრივ სისტემებს აქ მხოლოდ ცალკეული სამმებრო ელემენტების აღმოჩენა შეიძლება.<sup>14</sup>

სამმებრო პროცესის საპროცესო მნიშვნელობა არის ის, რომ მაში ჩნდება სტადიები და განსაკუთრებული თანამდებობის პირები, რომლებიც შემდგომ გამომძიებლებად და პროკურორებად იწოდებიან. საგამომძიებო პროცესი ახდენს ისეთ მტკიცებულებათა რეგლამენტაციას, როგორცაა: მოწმის ჩვენებები, ბრალდებულის აღიარება, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები. აქ ეყრება საფუძველი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის ინსტიტუტს. განსაკუთრებით დეტალურად ინკვიზიციურ პროცესში მუშავდება მისთვის ძირითადი სტადია გამომძიების ეტაპებად. სამმებრო პროცესმა მოსპო სასამართლო წარმოების კერძო ხასიათი და მასში საჯაროობა შეიტანა.

### 1.3. შეჯიბრებითი პროცესი

შეჯიბრებითობის საპროცესო მოდელი ეფუძნება მე-18 საუკუნის განმათავისუფლებლობის მოძრაობის იდეებს, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და პიროვნული ავტონომიისთვის მყარ თეორიულ-ფილოსოფიურ საფუძველებს

---

<sup>14</sup>ბენიძე დ., შეჯიბრებითობის თავისებურება ბრალდებით და სამმებრო (ინკვიზიციური) ტიპის პროცესში. თბილისი 2010წ გვ10;

აყალიბებს. სახელმწიფოსთვის დაწესებული ზემოაღნიშნული შეზღუდვებიც მთლიანად გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ერთი მხრივ, მოქალაქის პოზიციები სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი კონკრეტულ საქმეში, დროს, ყველა ძირითადი გადაწყვეტილება საჯაროდ იყოს მიღებული, მიუკერძოებელი მსაჯულის მიერ, რომელიც უშუალოდ იკვლევს საქმის ყველა მნიშვნელოვან გარემოებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალწარმოების თანამედროვე გაგებისკენ მიმავალი გზა ხანგრძლივი და რთული იყო. თითოეული ქვეყანა თავისი გზით მიისწრაფოდა.

იმისთვის, რომ განისაზღვროს როდის წარმოიშვა შეჯიბრებითობის პრინციპი, აუცილებელია ყურადღება მიექცეს სისხლისსამართლებრივი პროცესის ისტორიულ განვითარებას. უნდა ითქვას, რომ ისტორიულად, სამართლებრივი განვითარების დაბალ საფეხურზე სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი ნორმების განსხვავება მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული და ყველა საქმის განხილვა ერთი და იმავე საპროცესო წესებით მიმდინარეობდა. მხოლოდ ხანგრძლივი განვითარების შედეგად იქნა ცალკე გამიჯნული სისხლის სამართლის პროცესი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი.<sup>15</sup>

ისტორიულად, სისხლის სამართლის პროცესის რამდენიმე ფორმას იცნობს იმ ქვეყნების სამართალი, სადაც ფეოდალური წესწყობილება იყო გაბატონებული საუკუნეების მანძილზე. საიდანაც აღსაღნიშნია ორი ძირითადი ფორმა რაც არსებობდა: ბრალდებითი პროცესი და სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი.<sup>16</sup>

ბრალდებით პროცესს ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი ყველაზე ძველი პროცესია და მას აიგივებენ კერძო-სასარჩელო, კერძო-შეჯიბრებით პროცესთან. ჯერ კიდევ მონათფლობელურ პერიოდში ჩაისახა ბრალდებითი პროცესი, რომელიც განსაკუთრებით ფეოდალურ საზოგადოებაში განვითარდა. მისი დამახასიათებელი თვისება კი იყო ბრალმდებლის განსაკუთრებული მდგომარეობის აღიარება, რომლის როლში ხშირად დანაშაულისაგან დაზარალებული პირი გამოდიოდა. ამ დროს სამართალს აინტერესებდა არა ჭეშმარიტება, არამედ დარწმუნება იმაში, რომ ბრალდებულს შესწევს უნარი გაუძლოს წამებას, ორთაბრძოლას, დაიფიცოს ისე

<sup>15</sup> ვაჩიშვილი ალ., სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბ., 1955წ, გვ.6;

<sup>16</sup> სტროგოვიჩი მ.ს., სისხლის სამართალი პროცესი, თბ., 1948წ. გვ.25;

როგორც წესია და სხვა. სისხლის სამართლის განხილვის ასეთი ფორმა მოსინჯულია პრაქტიკულად დღეს არსებულ ყველა ქვეყანაში, სხვადასხვა დროს.

სისხლის სამართლის პროცესი მთლიანად აგებული იყო , საბრალმდებლო პრინციპზე“, რაც იმას გულისხმობდა, რომ კერძო პირები იყვნენ ბრალმდებლები და შესაბამისად აქტიურად მონაწილეობდნენ პროცესში. მ. ლეკვეიშვილის მიერ ჩატარებული კვლევებითაც დგინდება, რომ XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში „საბრალდებო პროცესის „ ტიპი იყო გავრცელებული.<sup>17</sup>

მოგვიანებით სასამართლო წარმოებამ უფრო სრულყოფილი სახე მიიღო, პროცესში მონაწილეობდნენ მოწმეები, მხარეები გამოირჩეოდნენ თავისუფლების უფრო მაღალი ხარისხით, პროცესზე წარადგენდნენ დოკუმენტებს, რომლებსაც მოსამართლე თავისი შინაგანი რწმენით აფასებდა.

უფრო მეტად გააქტიურდნენ პროცესის მსვლელობისას როგორც მხარეები, ასევე მოსამართლეც. მონათფლობელურ და ფეოდალურ სახელმწიფოებში პროცესის ამ დახვეწილმა სახემ მიიღო შეჯიბრებითი ფორმის სახელწოდება, თუმცა მასში გარკვეულწილად უკვე მოიაზრებოდა სამმხრე პროცესის ნიშნებიც.

შეჯიბრებითობის პრინციპს რომელიც ბრალდებითისაგან განვითარდა განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოებში.

ისტორიულად ამ პროცესის ამ ფორმის ჩამოყალიბება შუა საუკუნეების ინგლისში დაიწყო. შემდგომ იგი გაიზიარეს ინგლისის ყოფილ სხვადასხვა კოლონიებში, სადაც იგი დღემდე მოქმედებს. ექსპერტები აცხადებენ ,რომ მას საფუძველი დაუდო ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ. რადგანაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე მსაჯულები მხარეებს მხოლოდ უსმენდნენ, პროცესში არ ერევან, შეკითხვის დასმის უფლებაც არ აქვთ და მხარეების პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ ისინი. მხარეებმა უნდა შეძლონ ნაფიც მსაჯულთა დარწმუნება პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობაში.

შეჯიბრებითი პროცესის სქემა ეფუძნებოდა იმას, რომ სისხლის სამართლის პროცესი არის სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ მოქალაქეებს შორის დავა, რომელიც ხორციელდება სასამართლოში. ამდგავში კი

---

<sup>17</sup> ლეკვეიშვილი მ., სასამართლო პროცესი XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1963გვ.108-109;

ორივე მხარეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა მტკიცებულებათა შეკრების, წარმოდგენის, გამოკვლევისთვის, მათი ანალიზისთვის და ა.შ. მიჩნეული იყო, რომ მათ ასეთი თანაბარი უფლებები უნდა გააჩნდეთ არა მხოლოდ საქმის სასამართლოში განხილვის დროს, არამედ მის წინასასამართლო მომზადებისას.<sup>18</sup>

ანგლოსაქსონური მოდელის პროპაგანდისტები არ აღიარებდნენ, რომ სისხლის სამართალწარმოებისას განხორციელებულ საპოლიციო გამოძიებისას მხარეთა შეჯიბრებითობა გამორიცხულია. კონტინენტური სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში დეტექტივი ვალდებულია არ გადასცეს თავის საპროცესო მოწინააღმდეგეს მის წინააღმდეგ შეკრებილი მასალა, მანამდე სანამ საქმე სასამართლოსთვის არ გადაცემულა.

ბრალდებულის და მისი დამცველისთვის სასამართლომდე ცნობილია მხოლოდ ეჭვის არსი და გამამტყუვნებელი მტკიცებულებების არსებობა, რომელთა სრულყოფილად წარდგენა ხდება მხოლოდ სასამართლო განხილვისას.<sup>19</sup>

შეჯიბრებითობის პროცესისთვის დამახასიათებელი იყო აღიარება, ფიცის დადება, მტკიცებულებების შინაგანი რწმენით შეფასება და ა.შ. თავის დროზე ამ ტიპის პროცესის საფუძველზე ჩამოყალიბდა სამძებრო წარმოება, რა დროსაც სასამართლო პასიურობით და ფორმალურობით გამოირჩეოდა.

## 1.4. შერეული პროცესი

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის (1989 წლის) შემდეგ სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპი ინკვიზიციური პროცესის ცალკეულ ელემენტებს შეერწყმა, რის შედეგადაც წარმოიშვა შერეული პროცესი. შერეული პროცესის მთავარი დანიშნულება მისი მკვეთრი გამოყოფა ორ სტადიად: წინასწარ და დამამთავრებელ წარმოებად.

სისხლის სამართლის პროცესის შერეული ტიპი არ ნიშნავს სხვდსხვა ეპოქების და ფორმების საპროცესო ინსტიტუტების მექანიკურ შეერთებას. ეს არის არსებითად ახალი პროცესი, რომელიც ერთიანი პრინციპებით გამსჭვალული ერთიანი სისტემაა.

---

<sup>18</sup> გუენეკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ13;

<sup>19</sup> იქვე, გვ14;

აღსანიშნავია, რომ წინასწარი სტადიის წარმოებაში შემორჩენილია საიდუმლოობის, წერილობითობის, მხარეთა არარსებობის ნიშნები, რომელიც დამახსიათებელი იყო ინკვიზიციური პროცესისთვის. საბოლოო წარმოება (სასამართლო განხილვა) ზეპირობის, საჯაროობის, უშუალოებისა და შეჯიბრებითობის საწყისზეა აგებული.

რევოლუციამდელი რუსეთის სისხლის სამართლის პროცესზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო ამ პერიოდში, რუსეთის მიერ იყო ანექსირებული და შესაბამისად, რუსეთში მოქმედი საპროცესო ნორმები ავტომატურად საქართველოზეც ვრცელდებოდა.

1864 წლის სასამართლო რეფორმამ რუსეთში გააუქმა ინკვიზიციური პროცესის ფორმა და შემოიღო შერეული პროცესი: არასაჯარო, წერილობითი წინასწარი გამოძიება და საჯარო, შეჯიბრებითი „სამსჯავრო გარჩევა“.

ამრიგად, როგორც აღინიშნა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახსიათებელი იყო პროცესის შერეული ტიპის ნიშნები. კეროდ, იყოფოდა წინასწარ გამოძიებად და სასამართლო განხილვად. გამოძიების, პროკურატურის და სასამართლო ორგანოებს ფართო უფლებამოსილებები გააჩნდათ დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლენისა და დასჯის საქმეში.

საბჭოთა პროცესს საფუძვლად ედო ოფიციალობის პრინციპი, ანუ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას, ბრალდებას, საქმის გადაწყვეტას სახელმწიფო დაწესებულებები - საგამოძიებო, პროკურატურის და სასამართლო ორგანოები ახდენდნენ. აქედან გამონაკლის წარმოადგენდა კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეები.

ამრიგად, როგორც უკვე ითქვა, რუსეთმაც ისევე როგორც საქართველომ და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებმა სისხლის სამართლის პროცესის განვითარების თვალსაზრისით, მცირეოდენი განსხვავებებით, მაგრამ თითქმის ერთნაირი გზა განვლეს.

დღეისათვის ბევრ ქვეყანაში ფეხს იკიდებს შერეული პროცესის მოდელი. მხარეთა პროცესი უკვე დიდი ხანია მხოლოდ ანგლო-ამერიკული სისტემისთვის არაა დამახსიათებელი, არამედ იგი უკვე არსებობს კონტინენტურ-ევროპული სამართლის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობაშიც. სახელმწიფოს, რომლის ინტერესსაც წარმოადგენს სამართლის დადგენა, სასამართლო პროცესზე შეუძლია

ინიციატივა მხარეებს დაუთმოს. მთავარი არის ის, რომ სიმართლე არ უნდა დადგინდეს ყველაფრის ფასად, არამედ მხოლოდ შესაბამისი წესების დაცვით.<sup>20</sup>

მიჩნეულია, რომ სამართლის დავა სლ საფეხურზე სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმების განსხვავება მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული და ყველა საქმის განხილვა ერთსა და იმავე საპროცესო წესებით მიმდინარეობდა. უდნა ითვქას, რომ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ იქნა გამიჯნული ცალკე სისხლის სამართლის პროცესი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი.<sup>21</sup>

სამართლის განვითარების მანძილზე არსებობდა სისხლის სამართლის პროცესის ორი ძირითადი ფორმა საბრალდებო , რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე იყო დაფუძნებული და ინკვიზიციური, ანუ სამძებრო პროცესი. მოგვიანებით კი ჩამოყალიბდა მესამე საპროცესო ფორმა, რომელსაც სერეული პროცესი ეწოდა, რადგან სამძებრო და საბრალდებო პროცესების სინთეზს წარმოადგენს. ამასთან, ძველი ქართული სამართლის ზოგიერთი ძეგლის და მასთან დაკავშირებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ოფიციალური დევნის პრინციპის საწყისი ელემენტები მომდინარეობს სამძებრო, იგივე ინკვიზიციური პროცესიდან.<sup>22</sup>

ცნობილია, რომ ბევრმა ქვეყანამ, რომლებმაც ტრადიციულ ინკვიზიციურ პროცესში კარი გაუღეს ადვერსალურ პროცესს, ადრევერსალურმა ელემენტებმა მოიკიდა ფეხი. ბევრ ქვეყანაში აქტიურად მიესალმნენ მხარეთა პროცესს სასამართლო ეტაპზე და გადაიტანეს ანგლო-ამერიკული მხარეთა პროცესის სტრუქტურა.<sup>23</sup>

ამ ქვეყნების სისტემები მათი ინკვიზიციური წარმომავლობის ერთგულნი რჩებიან მთელ რიგ საკითხებში, მაგრამ ადვერსალური სისტემის ელემენტებს შეიცავენ სასამართლო ეტაპზე, მაგალითად: იტალია, ესპანეთი, რუსეთი. შერეული სისტემა ასევე, ჩამოყალიბდა იაპონიაში, ტაივანში თუმცა, ყველა ეს სისტემა ერთმანეთისაგან გარკვეულწილად განსხვავდება.<sup>24</sup>

---

<sup>20</sup>Schröder Friedrich-Cristian, Neue Tendenzen im Strafprozessrecht – Deutschland, Polen und die Ukraine, 2015, S. 16ff

<sup>21</sup>ვაჩიშვილი ალ., „სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან I ნაკვეთი, თბ., 1955, 6.

<sup>22</sup>მეურმიშვილი ბ., სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში. 2014წ. გვ 23;

<sup>23</sup> Billis E., Die Rolle des Richters im adversatorischen und im inquisitorischen Beweisverfahren, 2015, S. 391ff.

<sup>24</sup>Ambos K., Zum heutigen Verständnis von Akkusationsprinzip und verfahren aus historischer Sicht, S. 593-594, JURA Heft 8/2008



აღსანიშნავია რომ ტიპური შერეული ადვერსალურ-ინკვიზიციური სისტემისთვის დამახსიათებელია ცალმხრივი გამოძიების პროცესი, რომელსაც ინკვიზიციური პროცესის საფუძველზე აწარმოებს პროკურატურა ან პოლიცია, პროკურატურის ზედამხედველობით. საქმის არსებითი განხილვისას, ძირითადად სასამართლო სხდომაზე, ბრალდებისა და დაცვის მხარე, თანაბარ პირობებში, ერთმანეთს უპირისპირდებიან. ისინი, როგორც მხარეები წარმოადგენენ მტკიცებულებებს და ცდილობენ ნეიტრალური სასამართლო რომელიც საქმის მასალებს არ იცნობს, თავიანთი პოზიციის სისწორეში დაარწმუნონ. სასამართლო უზრუნველყოფს პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვას, მხარეებისათვის თანაბარი პირობების შექმნას და სამართლიან სასამართლო განხილვას.<sup>25</sup> შერეული სისხლის სამართლის პროცესში გამოძიების წარმოება და სიმართლის დადგენა, როგორც წესი, ინკვიზიციური მოდელით ხორციელდება. ჰიბრიდი სისხლის სამართლის პროცესის სისტემის სიმართლის დადგენას გამოძიებაში სახელმწიფო ორგანოთა ხელში აქცევენ. სახელმწიფოს ოფიციალური ორგანოები იწყებენ და აწარმოებენ სავალდებულო გამოძიებას, დევნას. ისინი განსაზღვრავენ ბრალდების საგანს, მის მოცულობას. სიმართლის დადგენა სასამართლოში კი, საქმის არსებითი განხილვისას, ადვერსარული მოდელით ხორციელდება. მტკიცებულებების წარდგენა და გამოკვლევა სასამართლოში წარმოებს მხარეთა მიერ. ამგვარად, ადვერსალური სისტემის დაახლოება ხდება პროცესის იმ სისტემებთან, რომელსაც ინკვიზიციური სტრუქტურა აქვს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2004 წლამდე, ორიენტირებული იყო კონტინენტურ-ევროპულ სისხლის სამართლის საპროცესო სისტემაზე. პროცესის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენდა ლეგალურობის, ინკვიზიციურობის, მატერიალური ჭეშმარიტების დადგენის პრინციპები. 2004 წლის მერე კი იცვლება სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულება. სისხლის სამართლის რეფორმებისას საქართველო ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ-ევროპული საპროცესო სამართლის სისტემატა შორის არჩევანის წინაშე დადგა.<sup>26</sup> არჩევანი ანგლო-ამერიკულ საპროცესო სამართალზე შეჩერდა. უცხოელი, მათ

<sup>25</sup>Weigend T., Rechtsvergleichende Bemerkungen zur Wahrheitsuche im Strafverfahren, Festschrift für Ruth Rissing-van Saan zum 65. Geburtstag am 25. Januar 2011, S. 750ff

<sup>26</sup> Internationale Studententagung Budapest-Riga-Tbilissi-Berlin, 7-12 August, 2006, Europa, Gemeinsame Fortschritte, enttäuschte erwartungen, Begründete Hoffnungen, Die Bedeutung Austauschseminars 2006 für die geoergischen Studierenden, S. 81

შორის აშშ-ის ექსპერტების მონაწილეობით, შემუშავებულ იქნა, ახალი საპროცესო კოდექსი და 2009 წელს, პარლამენტის მიერ იყო მიღებული, <sup>27</sup> რომლის ფუნდამენტური პრინციპებია დისკრეციულობის, მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის, ფორმალური ჭეშმარიტების დადგენის პრინციპები.

ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად, ადვერსარულობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსამართლეს პასიური როლი აქვს სიმართლის გამოკლევისა და დადგენის პროცესში. სიმართლის დადგენა მხარეთა ხელშია. კონტინენტურ-ევროპულ სისხლის სამართლის საპროცესო სისტემის შესაბამისად, ინკვიზიციური პრინციპის საფუძველს სიმართლის დადგენა უშუალოდ მოსამართლის მოვალეობაა. მოსამართლე იკვლევს და ადგენს სიმართლეს საქმის არსებითი განილვისას.

## **1.5 შეჯიბრებითობა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის პრინციპი**

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი წარმოადგენს მხარეთა მიერ წარმოებულ პროცესს. მხრები (ბრალდების, დაცვის) მოიპოვებენ და წარადგენენ პროცესში მტკიცებულებებს. მხარეთა თანასწორობა და სამართალწარმოების შეჯიბრებითი ხასიათი უზრუნველყოფილია საქმისწარმოების ყველა სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან სამართალწარმოების დასრულებამდე და მათ შორის სასამართლო განხილვის, გამოძიების ეტაპზე და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოებისას. მაგრამ არ მოქმედებს გამოძიების სტადიის იმ ნაწილზე, რომელიც ხორციელდება ერთი მხარის არსებობის პირობებში, სანამ გამოძიების ორგანოს მიერ არ იქნება იდენტიფიცირებული დაცვის მხარე და არ დაიწყება კონკრეტული პირის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნა. ასევე ნასამართლეობის მოხსნის შუამდგომლობის განხილვასთან დაკავშირებული სამართალწარმოების დროს.

შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, პირველ რიგში, გულისხმობს მხარის უფლებას იყოს მოსმენილი. ამრიგად შეჯიბრებითობა უზრუნველყოფს ორივე მხარის შესაძლებლობას, მოიპოვოს და წარმოადგინოს საკუთარი

---

<sup>27</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, [www.matsne.ge](http://www.matsne.ge)

მტკიცებულებები. უფლებას გაეცნოს, გამოიკვილოს, მოიპოვოს და წარმოადგინოს საკუთარი მტკიცებულებები. უფლებას გაეცნოს, გამოიკვილოს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვას მოწინააღმდეგე მხრის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან<sup>28</sup> დაკავშირებით. მასალებთან, შუამდგომლობასთან/ სჩივართან დაკავშირებით იმისდა მიუხედავად, აღნიშნული ეხება ფაქტების დადგენას, სამართლებრივ არგუმენტს, საქმის არსებით გარემოებებს, თუ პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საპროცესო საკითხს<sup>29</sup> პროცესის განხორციელებას ფუნქციათა მკაფიო გამოჯვანის პირობებში. ბრალდებულს უნდა მიეცეს სადავო ფაქტთან დაკავშირებით მოპოვებული მტკიცებულების თაობაზე კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც, თუ ფაქტი ეხება უფრო პროცესულ საკითხებს, ვიდრე სავარაუდო სამართალდარღვევას.<sup>30</sup>

შესაბამისდ, შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს:

- მართლმსაჯულების, ბრალდებისა და დაცვის ფუნქციის გამოცალკავება;
- შეიბრებითობა როგორც სასამართლო, ასევე გამოძიების სტადიაზე;
- მხარეთა უფლება მტკიცებულების მოპოვებაზე;
- მხარეთა თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მტკიცებულების წარმოდგენაზე;
- მოწინააღმდეგის მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება.

საქართველოს საპროცესო კოდექსი ორიენტირებულია ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებით მოდელზე. შეჯიბრებითი პროცესის არსს ქმნის მხარეების შესაძლებლობა, წარმოადგინონ მტკიცებულება, ახალი ფაქტობრივი გარემოებები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო მსჯელობს ფაქტობრივ გარემოებებზე, გამოთქვან მოსაზრებები, გამოხატონ პოზიციები როგორც საკუთარი, ისე მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებზე, რომ დაარწმუნონ

---

<sup>28</sup>Laukkanen and Manninen v Finland, ECtHR, 03/02/2004, §34; Kamasinski v. Austria, ECtHR, 19/12/1989, §102; Brandstetter v. Austria, ECtHR, 28/08/1991, § 67; Rowe and Davis v. UK, ECtHR, (GC), 16/02/2000, § 60; Fitt v. UK, ECtHR, (GC), 16/02/2000, §44; IJL, GMR and AKP v. UK, ECtHR, §112; Goc v Turkey, ECtHR, (GC), 11/07/2002, §34; Meftah v. France, ECtHR, (GC), 26/07/2002, §51; PG and JH v. UK, ECtHR, 25/09/2001, §67; JJ v the Netherlands, ECtHR, 27/03/1998, §43; Ernst et al. v Belgium, ECtHR, 15/07/2003, §60; Duricz-Costes v France, ECtHR, §32; Skondrianos v Greece, ECtHR, 18/12/2003, §29.

<sup>29</sup>Kamasinski v. Austria ECtHR, 19/12/1989, §102

<sup>30</sup>იქვე.

სასამართლო საკუთარი არგუმენტების სისწორეში და გავლენა მოახდინონ „სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებაზე.“<sup>31</sup>

### 1.5.1 შეჯიბრებითობის პრინციპის ისტორიული ექსკურსი

იმისთვის, რომ განისაზღვროს თუ როდის წარმოიშვა შეჯიბრებითობის პრინციპი ქართულ სამართლებრივ სივრცეში, უცილებელია ყურადღება მიექცეს სისხლის სამართლის პროცესის ისტორიული განვითარებას.

ისტორიულად, სამართლებრივი განვითარების დაბალ სფეროებზე სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი ნორმების განსხვავება მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული. ყველა საქმის განხილვა ერთი და იმავე საპროცესო წესებით მიმდინარეობდა. მხოლოდ ხანგრძლივი განვითარების შედეგად იქნა ცალკე გამიჯნული სისხლის სამართლის პროცესი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი.<sup>32</sup>

ამრიგად, სისხლის სამართლის პროცესი აღიარებულია სამართლის იმ დარგად, სადაც ბატონობს ოფიციალობის საწყისი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმისწარმოება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სახელმწიფო ორგანოებზეა დამოკიდებული.<sup>33</sup>

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წლის ოკუპაციამ ქართული სამართლის დარგები საბოლოოდ დააკავშირა საბჭოთა იურისპუდენციასთან. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ქართული იურიდიული აზროვნება, მეცნიერება თუ კანონმდებლობა ყოველთვის განიცდიდა მის ზეგვლენას.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნორმატიული აქტი, რომელიც სისხლის სამართლის პროცესს შეეხებოდა, იყო 1917 წლის 24 ნოემბრის #1 დეკრეტი სასამართლოს შესახებ. იგი ჯერ კიდევ არ განსაზღვრავდა საბჭოთა სასამართლოს საქმიანობის ახალ წესს.

1918 წლის 22 თებერვალს გამოცემული იქნა #2 დეკრეტი, რომელიც აწესებდა სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობას. აღნშნული დეკრეტი

---

<sup>31</sup>ლალაიაშვილი თ. ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ-ევროპული სამართლის პროცესის სისტემების ჰარმონიული კონვერგენცია და მისი მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლის სისტემისათვის. თბ2016 გვ 28.

<sup>32</sup>ვაჩიშვილი ალ., სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი 1955, გვ 6.

<sup>33</sup>იქვე, გვ 18.

ითვალისწინებდა იმას რომ ბრალდებისა და დამცველის გარდა, პროცესზე დამატებით გამოსვლა შეეძლოთ ერთ ბრალმდებელს და დამცველს საზოგადოებიდან. რაც შეეხებოდა მოსამართლეს, ეს უკანასკნელი საქმეს განიხილავდა სახალხო მსაჯულის მონაწილეობით.

1918 წლის 20 ივლისს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული იქნა ახალი, # 3 დეკრეტი, რომელსაც სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებული ცვლილებები არ შეუტანია.

საბჭოთა რუსეთში არსებობდა სასამართლო ორგანოთა განცალკევებული სისტემა: სახალხო სასამართლოები და რევოლუციური ტრიბუნალები. მათი საქმიანობა სხვადასხვა კანონით წესრიგდებოდა. კერძოდ, სახალხო სასამართლოების საპროცესო საქმიანობა წესრიგდებოდა 1918 წლის 30 ნოემბრის დებულებით სახალხო სასამართლოების შესახებ. ამ დებულების მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესი შეჯიბრებითი იყო. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას დაშვებული იყო ბრალდებისა და დაცვის მხარეების მონაწილეობა. დამცველი დაიშვებოდა წინასწრი გამოძიების დროსაც. თუმცა, მათი მონაწილეობა „საგამომძიებლო“ კომისიის დადგენილებით შეიძლება შეზღუდულიყო.<sup>34</sup>

აღსანიშნავია რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებული იქნა 1923 და 1960 წლებში.<sup>35</sup> ამასთან, საბჭოთა პერიოდში ადგილი ჰქონდა ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღებას, რაც ზღუდავდა გამოძიებასა და სასამართლოში საქმის განხილვის დემოკრატიულ პრინციპებს, ბრალდებულის დაცვის უფლებას და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ამარტივებდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და განხილვის საპროცესო წესებს, რასაც საბოლოოდ მოჰყვა ცალკეულ პირთა რეპრესიები.<sup>36</sup>

1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ იქნა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლითაც საბოლოოდ ეთქვა უარი ისეთი სახის სისხლის სამართალწარმოებას, რომელიც უხეშად არღევდა და ზღუდავდა ადამიანის უფლებებს. 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობამაც განსაზღვრა მნიშვნელოვანი პროცესუალური პრინციპები - საჯაროობა და

<sup>34</sup>ვაჩიშვილი ალ., სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტორიიდან, I ნაკვეთი, თბილისი 1955, გვ 67-68

<sup>35</sup>იქვე, გვ 35, 40

<sup>36</sup>სტროგოვიჩი მ.ს., დასახ. ნაშრ. 64-65; საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, რედ: ფალიაშვილი ა., თალაკვაძე ლ., თბილისი 1988, 36.

დისპოზიციურობა, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობასთან.<sup>37</sup>

აღნიშნული საპროცესო კანონმდებლობით სისხლის სამართლის პროცესის საჯაროობა გამოიხატება იმაში, რომ გამომძიებელი, პროკურორი მოსამართლე და სასამართლო მოქმედებდნენ რა საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ვალდებულნი იყვნენ დაედგინათ დანაშაული და მისი ჩამდენი პირი. ამ მიზნით ისინი უფლებამოსილნი იყვნენ ჩაეტარებინათ ყველა საპროცესო მოქმედება.<sup>38</sup> საჯაროობასთან ერთად საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა ასევე დისპოზიციურ საწყისსაც. დისპოზიციურობა ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას გამოიყენონ თავიანთი უფლებები.<sup>39</sup>

1998 წლის საპროცესო კანონმდებლობაში პირდაპირ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ბრალდების, დაცვის და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები გამოყოფილი იყო ერთმანეთისაგან და არ შეიძლებოდა დაკისრებოდა ერთსა და იმავე ორგანოს ან თანამდებობის პირს. ბრალდებისა და დაცვის მხარეებს სრული თანასწორობის საფუძველზე ენიჭებოდათ მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობა. ბრალდების ფუნქცია ეკისრებოდა პროკურორს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს და მათ წარმომადგენლებს, ხოლო დაცვის უფლება ჰქონდათ ბრალდებულს, მის დამცველს, სამოქალაქო მოპასუხესა და მის წარმომადგენელს. სასამართლო არ განიხილებოდა როგორც წინასწარ გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო. იგი ბრალდებას და დაცვას უქმნიდა შესაბამის პირობებს მტკიცებულებათა წარდგენისა და მათი ყოველმხრივი, სრულყოფილი გამოკვლევისათვის. ამასთან, სასამართლო შეზოქილი არ იყო მხარეთა მოსაზრებებით.<sup>40</sup>

<sup>37</sup>მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კომენტარებით, 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თბილისი 2007, გვ 63,

<sup>38</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 1998 წლის, მე-14 მუხლი; ასევე სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, მეორე გამოცემა, რედ: გოგსელიძე რ., თბ.2009, 146.

<sup>39</sup>Современный словарь иностранных слов., М., 1992, С.206, მითითებულია: Дикарев И.С., dasax. naSr., 36.

<sup>40</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2006 წლის 01 თებერვლის მდგომარეობით, 1998 წლის, მე-15 მუხლი; ასევე, მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., დასახ. ნაშრომ. 65-67; სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, მეორე გამოცემა რედ: გოგსელიძე რ., თბ. 200, 149-153.

## 1.5.2. შეჯიბრებითობის პრინციპის არსი და მნიშვნელობა

2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებულმა საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელიც 2010 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა, მრავალი ნოვაცია შემოიტანა ქართული მართლმსაჯულების სისტემაში, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეჯიბრებითობის, იგივე მოსმენის უფლების სრულიად ახალი ფორმის დანერგვა სისხლის სამართლის პროცესში. შეჯიბრებითობის ე.წ. კლასიკური ტიპი ანგლო-ამერიკული სამართალწარმოებიდან იქნა გადმოღებული. ამასთან, ქართული მოდელი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

შეჯიბრებითობის პრინციპის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მტკიცებულებათა მოპოვება, მოწმეთა მოძიება, მათი სასამართლოში დაბარება და მტკიცებულებების სასამართლოში პრეზენტაცია მხოლოდ ბრალდებისა და დაცვის მხარის კომპეტენციაა. გამოძიების სტადიაზე ბრალდებისა და დაცვის მხარეს უნდა გააჩნდეთ თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობები მტკიცებულებათა მოსაპოვებლად. ბრალდებულს და მის დამცველს ენიჭებათ უფლებამოსილება პარალელურად და სისხლისამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოსგან დამოუკიდებლად გამოავლინოს და შეაგროვოს ის მონაცემები, რომლებიც სასამართლო საქმის არსებითი განხილვისას შესაძლებელია გამოყენებული იყოს ბრალდების გამაქარწყლებელ მტკიცებულებათა სახით. საქმის სასამართლოში არსებითად განხილვის ეტაპზე კი სასამართლომ, რომელსაც ბრალდების დამადასტურებელი ან დაცვის ხელშემწყობი მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა ეკრძალება, განაჩენს საფუძვლად უნდა დაუდოს მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებები. ანტაგონისტური მხარეები წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას აყალიბებენ, რომელსაც შემდგომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას ნეიტრალური მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული) აფასებს. ამრიგად, შეჯიბრებითი და თანასწორი პროცესის პირობებში სასამართლო, რომელიც თავად არ ეძებს გადაწყვეტილების მიღებისათვის რელევანტურ მტკიცებულებებს და შემოიფარგლება მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით, უზრუნველყოფს მხარეებს შორის თანაბარ მდგომარეობას.

სისხლის სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობა გულისხმობს პირველ რიგში მხარის უფლებას იყოს მოსმენილი და ასევე სამართალწარმოების წარმართვის, დაცვის, ბრალდების და მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციათა მკაფიო გამიჯვნის პირობებში, სდაც სასამართლო ასრულებს მედიატორის როლს, შეზრუდულია მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებით და მისი მინაარსობრივი ჩართულობა საქმის გარემოებების გამორკვევაში მინიმალიზებულია.

შეჯიბრებითობა მნიშვნელოვანია იმით, რომ უზრუნველყოფს ორივე მხარის შესაძლებლობას, მოიპოვოს და წარმოადგინოს საკუთარი მტკიცებულებები. უფლებას გამოიკვილოს, საკუთარი მოსაზრება გამოთქვას მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე იმისდა მიუხედავად, აღნიშნული ეხება ფაქტის დადგენას, სამართლებრივ არგუმენტს, სქმის არსებით გარემოებებს, თუ პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს. შესაბამისად, შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცვის მხარეს გააჩნდეს ბრალდების არგუმენტების გაქარწყლების ადეკვატური და რეალური შესაძლებლობა, რაც პირველ რიგში გულისხმობს როგორც უფლებას, ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა-გაბათილებაზე, ასევე, ამავე მიზნით უფლებას, მტკიცებულების მოპოვებაზე.

შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით და გამოიყენონ ისინი საიმისოდ, რათა წარადგინონ მათი პოზიციების სასარგებლო არგუმენტები. იმადროულად, ამ პრინციპის უმთავრესი მიზანი არის სწორი გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა და ამ მიზნისთვის ეს პრინციპი ეყრდნობა ორივე მხარის მიერ არგუმენტების თავისუფლად წარმოდგენის შესაძლებლობას.<sup>41</sup>

შეჯიბრებითი პროცესის მიზანი ცალსახად არ არის ჭეშმარიტების დადგენა, თუმცა სისხლის სამართლის პროცესი საერთოდ უარს არ ამბობს ჭეშმარიტებაზე. „ჭეშმარიტება სისხლის სამართლის პროცესში გამოიხატება უტყუარობაში, დამაჯერებლობაში, რომ რაღაც ფაქტი არსებობს ან არ არსებობს“ - წერდა ფრანგი

---

<sup>41</sup>აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი. გერმანულ-ქართულისისხლისსამართლისჟურნალი, DGSTZDEUTSCH-GEORGISCHE STRAFRECHTSZEITSCHRIFT, 2/2016 Einige Aspekte des Parteiprozesses gemäß georgischer StPO Von Associate-Professor Dr. Irina Aqubardia,



მეცნიერი, სისხლის სმართლის პროცესის კლასიკოსი ფოსტენ ელი.<sup>42</sup> მოსამართლემ განაჩენი უნდა გამოიტანოს გონივრულ ეჭვის მიღმა სტანდარტით. „გონივრული ეჭვის მიღმა“ - ეს არის მოთხოვნა უტყუარობის და არა ალბათობის. ამრიგად, უტყუარ ცოდნას აქვს ჭეშმარიტების მნიშვნელობა, ამიტომ გამოიყენება ასეთი ცნებები - „შეფასება“ და „შინაგანი რწმენა.“ „სწორედ პროცესუალური გადაწყვეტილების მიღების დროს მოსამართლის შინაგანი რწმენა, რომელიც მწიფდება მტკიცებულებების შეფასების შედეგად, სუბიექტურად ასახავს ჭეშმარიტების დადგომის მომენტს“, <sup>43</sup> მაგრამ რა სახის ჭეშმარიტება უნდა დადგინდეს შეჯიბრებით სამართალწარმოებაში? საქმის გარემოებების ყოველმხრივი, ობიექტური, სრულყოფილი გამოკვლევის მოთხოვნა - ეს ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპის შინაარსია. ზოგიერთი ავტორის აზრით შეჯიბრებით სამართალწარმოებაში არ მოქმედებს პრინციპი - „ ფაქტების დადგენა იმგვარად, როგორც მათ ჰქონდათ ადგილი,“ არამედ მოქმედებს „ბრალდების მტკიცების პრინციპი“ რადგან, შეჯიბრებითი პრინციპი ამოსავალი პრინციპია მტკიცება და დარწმუნება, ამიტომ დგინდება არა უხეში ფაქტების ჭეშმარიტება, არამედ ე.წ. ფორმალურ-იურიდიული ჭეშმარიტება.

---

<sup>42</sup> Fosten, Heile, Traite de l instruction criminelle, ou Theorie du Code d instruction criminelle. En 3.Vol.V.I.Brutelles, 1863, p.5

<sup>43</sup> Смирнов, Александр/Калиновский, Константин, Уголовный процесс, 2008, ст. 66

## თავი II. შეჯიბრებითობის ქართული მოდელი

### 2. 1. შეჯიბრებითობა საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არაერთმა და თანაც გაუმართლებელმა ცვლილებამ დღის წესრიგში კვლავ დააყენა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღების საკითხი. როგორც უკვე აღინიშნა თავდაპირველად შემუშავებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი ახლოს იდგა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან და კარგად პასუხობდა ევროპულ სტანდარტებს. მიუხედავად ამის, განმეორებით მოხდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის შემუშავება, რომელიც განსხვავებით წინა პროექტისაგან, ორიენტირებული იყო ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე<sup>44</sup>. აღნიშნული პროექტი საქართველოს პრეზიდენტის მიერ იქნა მოწონებული 2005 წლის 9 ივლისს. სწორედ მასში ასახულმა პრინციპებმა ჰპოვა პრაქტიკული რეალიზაცია ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ხანგრძლივი დისკუსიებისა და განხილვის შემდეგ, 2009 წლის 9 ოქტომბერს მიიღო და ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბერს.

შეჯიბრებითობის პრინციპს, ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც სერიოზული ყურადღება აქვს დათმობილი, კერძოდ: ახალი კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ასევე, მხარეს უფლება აქვს, კოდექსის დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით თანაბარ პირობებში უნდა ჩამდგარიყვნენ როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარე მათ მიერ

---

<sup>44</sup>მამნიაშვილი მ., გახოკიძე გ., და გაბისონია ი., რედ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბ., 2013, 39.

მტკიცებულებათა მოპოვების, მოსამართლის წინაშე მათი წარდგენისა და შეფასების მხრივ. კონკრეტულად კი აქცენტი გაკეთდა შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით ღია სასამართლო კამათის პირობებში განხილულ მტკიცებულებათა უპირატესობაზე.<sup>45</sup>

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ შეჯიბრებითობა გამოხატულია, როგორც სასამართლოში მოდავე მხარეთა მიერ თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის იურიდიულად თანაბარი შესაძლებლობის რეალიზაცია. თუმცა, ზღვრის გავლება თეორიულად შესაძლებლობასა და მის რეალიზაციას შორის საკმაოდ რთული და დელიკატური საკითხია. მით უფრო მაშინ, როდესაც კანონმდებელი, გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებად მიიჩნევს პროცესის წარმოებას ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე. თუმცა, ასეთი პროცესის მნიშვნელოვანი გარანტია ბრალდებულის დამცველის მონაწილეობაა მასში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასეთ შემთხვევაში ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ადვოკატის სავალდებულო წესით დანიშვნას.<sup>46</sup>

ამრიგად, შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს:

- მართლმსაჯულების, ბრალდებულისა და დაცვის ფუნქციის გამოცალკავება;
- შეჯიბრებითობა როგორც სასამართლო, ასევე გამოძიების სტადიაზე;
- მხარეთა თანაბარი უფლება მტკიცებულების მოპოვებაზე;
- მხარეთა თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მტკიცებულების წარმოდგენაზე;
- მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება.<sup>47</sup>

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა მოქმედებას იწყებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე. კოდექსის 9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. ასევე მოქმედი კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა

<sup>45</sup>ბენიძე დ., შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2012, 39.

<sup>46</sup>ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა და

პროცესის შეჯიბრებითობა, რედ. ნ. ძიძიგური., მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2016, 20.

<sup>47</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI)“, ავტორთა ჯგუფი, რედ. გ. გიორგაძე, 2015, გვ. 84-85.

მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისთვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის წარდგენასაც აპირებენ მტკიცებულებად სასამართლოში.

შეჯიბრითობა სისხლის სამართლის პროცესში, პირველ რიში, გულისხმობს მხარის უფლებას „იყოს მოსმენილი“. შესაბამისად, შეჯიბრებითობა უზრუნველყოფს ორივე მხარის შესაძლებლობას, მოიპოვოს და წარმოადგინოს საკუთარი მტკიცებულებები, უფლებას, გაეცნოს, გამოიკვლიოს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვას მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, კერძოდ კი მასალებთან, შუამდგომლობასა და საჩივართან დაკავშირებით.<sup>48</sup>

### 2.1.1. შეჯიბრებითობა გამოძიების ეტაპზე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს გამოძიების ვალდებულებას, გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებში ავტორთა მოსაზრებით აღნიშნული ნორმა გამომძიებლის მიერ როგორც პირის ბრალეულობის დამადასტურებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულებას გულისხმობს, ყველა საჭირო და შემხვედრი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გზით და კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებათა რომელიმე სტანდარტის დაკმაყოფილება არ გამოირიცხავს დამატებითი მტკიცებულების მოპოვების ვალდებულებას, თუ კონკრეტული გარემოებები ამის აუცილებლობაზე მიუთითებს.<sup>49</sup>

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა მოქმედებას იწყებს სისხლის სამართლებრივ დევნის დაწყებისთანავე (სსსკ-ის მე-9 მუხლი).

„მაგრამ მოქმედებს გამოძიების სტადიის იმ ნაწილზე, რომელიც ხორციელდება, ერთი მხარის არსებობის პირობებში. სანამ გამოძიების ორგანოს მიერ არ იქნება

<sup>48</sup> Laukkanen and Manninen v Finland, ECtHR, 03/02/2004, §34; Kamasinski vs. Austria, ECtHR, 19/12/1989, §102; გვ 203

<sup>49</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI)“, ავტორთა ჯგუფი, რედ. გ. გიორგაძე, 2015, გვ 170;

ინდენტიფიცირებული დაცვის მხარე და არ დაიწყება კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა“<sup>50</sup> ატარებენ რა გამოძიებას დამოუკიდებლად, მხარეები მოპოვებულ ინფორმაციას, მასალებს წინასასამართლო სხდომამდე ხუთი დღით ადრე ერთმანეთს და სასამართლოს წარუდგენენ. ბრალდების მხარის მსგავსად, დაცვის მხარეს აქვს უფლება ჩაატაროს პარალელური გამოძიება. თუმცა, ყველა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლებამოსილება დაცვის მხარეს არ გააჩნია (მაგ კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული, ფარული საგამოძიებო მოქმედებები და ა.შ.). თანაც კანონით ნებადართული საგამოძიებო მოქმედებების სრულად ჩატარება დაცვის მხარისათვის ცალკეულ შემთხვევებში პრობლემურია, მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაცვის მხარეს 2013 წლიდან უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით კონსტიტუციური უფლებების შემზღვეველ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების თაობაზე ნებართვის გაცემის მოთხოვნით. მაგრამ, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების აგრეთვე, ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამოღებული საქმის ან დოკუმენტის ბრალდების მხარის მიერ პირველადი გამოკვლევის პროცესს ესწრებოდეს დაცვის მხარე და ამ პროცესში მისი თანამონაწილეობით მხარეთა თანასწორობა იყოს დაცული.<sup>51</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით 2019 წლის 30 ივნისიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი სსსკ 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი– დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს.

2013 წლის 14 იანვარს საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებებით, რომელიც 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს. გამომძიებელი უნდა შეარჩიოს

<sup>50</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, 2015, გვ. 84.

<sup>51</sup> აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, გერმანულ-ქართულის სისხლის სამართლის ჟურნალი, DGSTZDEUTSCH-GEORGISCHE STRAFRECHTSZEITSCHRIFT, 2/2016 Einige Aspekte des Parteiprozesses gemäß georgischer StPO Von Associate-Professor Dr. Irina Aqubardia, Iwane 2016, 11;

საგამომძიებლო ორგანოს ხელმძღვანელმა და მისი ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები დაცვის მხარეს უნდა ეცნობოს შუამდგომლობით მოთხოვნილი საგამომძიებო მოქმედების ჩატარებამდე.

2014 წლის 1 აგვისტოს მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა საპროცესო კოდექსში და საპროცესო კოდექსს დაემატა ახალი XVI თავი - ფარული საგამომძიებო მოქმედებები. უნდა წარმოჩინდეს, რომ ყველა საგამომძიებო მოქმედებებს მხარეები თანაბრად ვერ ატარებენ. მაგალითად, დაცვის მხარე არ არის უფლებამოსილი, ჩაატაროს ფარული საგამომძიებო მოქმედებები, კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამომძიებო მოქმედებები, საბანკო ანგარიშის მონიტორინგი. ხოლო ის საგამომძიებლო მოქმედებები, რომელიც კანონით ორივე მხარისთვის ნებადართულია, ცალკეულ შემთხვევებში არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი.

2011 წლის ოქტომბერს საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებით კოდექსს დაემატა ახალი მუხლი, 124 საბანკო მონიტორინგი, რომლის ჩატარების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ და მხოლოდ ბრალდების მხარეს. კერძოდ, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს საბანკო ანგარიშის გამოყენებით ან ჩამორთმევისადმი დაქვემდებარებული ქონების მოძიების ინდენტიფიცირების მიზნით, პროკურორი უფლებამოსილია, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით საბანკო ანგარიშების მონიტორინგის შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე, რომლითაც ბანკი ვალდებულია, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და მას მიმდინარე რეჟიმში მიაწოდოს ინფორმაცია ან რამდენიმე საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციის შესახებ.

აღნიშვნის ღირსია საქართველოს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას პროკურორის როლი, რომელიც არის პროცესის ის სუბიექტი, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებისა და მისი საპროცესო მდგომარეობის გათვალისწინებით განსაკუთრებული ადგილი უკავია სისხლის სამართლის პროცესში.<sup>52</sup>

გამომძიების ეტაპზე პროკურორის როლი არსებითია. პროკურორი არის სახელმწიფოს წარმოდგენელი, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს კანონის უზენაესობის დაცვაში. მისი გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს არა

<sup>52</sup>აბაშიძე გ., პროკურორი - გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, თბ.,2011,47;

მხოლოდ ბრალდებულზე, ან სისხლის სამართალწარმოების სხვა მონაწილეებზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე. გამოძიების ჩატარების პროცესში მონაწილეობით პროკურორს საშუალება ეძლევა მიიღოს არა მხოლოდ ეფექტური გადაწყვეტილება, არამედ შეუძლია თვალყური ადევნოს გამოძიების კანონიერებას. შედეგად, პროკურორი უკეთეს მდგმარებაში იქნება მართლმსაჯულების განხორციელებისას როგორც დაზარალებულთან, ასევე ბრალდებულთან მიმართებაში და რაც მთავარია პროკურორი თავისი მოვალეობის შესრულებით დაიცავს საზოგადოებას.<sup>53</sup>

რას შეეხება გამოკითხვას, იგი ახალი საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც შემორებული იქნა იმისთვის, რომ გამოძიებისას მხარეებმა მიოპოვონ ინფორმაცია კონკრეტულ პირებზე, რომლებიც შეიძლება, სასამართლოში იყვნენ დაბარებულები მოწმის სახით. გამოკითხვა ნებაყოფლობითი ხასიათისაა. გამოსაკითხი პირის გაფრთხილება არ ხდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, რადგან მისგან მიღებული ინფორმაცია არ არის ჩვენება. ამრიგად, გამოკითხვა წინაპირობაა იმისა, რომ პირი მოწმის სტატუსით გამოცხადდეს და მისცეს ჩვენება.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას გარკვეულ მატერიალური რესურსი და პროფესიული უნარ-ჩვევები სჭირდება, ამიტომ , აუცილებელია ფინანსური სახსრების მოძიება, ადვოკატთა კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მათ ბრალდების მხარის თანაბრად შეძლონ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და საჭირო მტკიცებულებების მოპოვება.

### **2.1.2. შეჯიბრებითობა სასამართლო პროცესზე**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპი წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ ელემენტს.

სასამართლო პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. სასამართლო ვალდებულია, რომ მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის პროსესში.

---

<sup>53</sup> Young-Chul K., The Effective System of Criminal Investigation and Prosecution in Korea, 90,

ყოველივე აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ „ ყველაზე უკეთ მხარეთა შეჯიბრებითობა სასამართლო განხილვის პროცესში ვლინდება, რადგან, შეჯიბრებითობა მოითხოვს, რომ მოსმენილ იქნას ორივე მხარის არგუმენტაცია და ორივე მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა შესაბამისი კომენტარი გააკეთოს მეორე მხარის მიერ წამოყენებულ არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე იმის მიუხედავად, სასამართლო სხდომა ზეპირი ფორმით წარიმართება თუ წრილობით“<sup>54</sup>

სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობასა და მხარეთა თანასწორობას ეხება კოდექსის 25-ე მუხლიც, რომლის შესაბამისად: სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არცერთს არ მიენიჭოს უპირატესობა. მისცეს თანაბარი შესაძლებლობებები გამოხატონ პოზიცია მეორე მხარის შუამდგომლობასა და საჩივართან დაკავშირებით.

სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მათ შორის ეკრძალება კითხვები დაუსვას დასაკითხ პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეებთან შეთანხმებით შეუძლია დასვას დამაზუსტებელი კითხვა. ასევე მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპენტენციაა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად სასამართლო ვალდებულია, თუ დააგენს, რომ ბრალდების კვალიფიკაცია არასწორია, განაჩენში დაასაბუთოს ბრალდებულის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის მოტივები და საფუძვლები.

უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა (ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომრიდან) მრავალი ნოვაცია შემოიტანა, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს დაკითხვის განხორციელება მხოლოდ სასამართლოში. ამრიგად, დაკითხვა წარმოადგენს ერთდროულად როგორც ინფორმაციის მოპოვების, ასევე მისი შემოწმების საშუალებას, ვინაიდან დაკითხვისას ხდება პირის მიერ ადრე მოწოდებული ინფორმაციის სარწმუნოების გადამოწმება.<sup>55</sup>

<sup>54</sup>გროესტადი, ა.რ, იონა., „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 დამე-6 მუხლების გამოყენებას სისხლის სამართლის საქმეებზე“, 2012, გვ. 25

<sup>55</sup>საქართველოს სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი. ავტ. ჯგუფი, თბ., 2017, გვ 405;



აღსანიშნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, მე-6 მუხლის მე-3 (დ)პუნქტის თანახმად, ყველას, ვისაც ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, აქვს მინიმუმ შემდეგი უფლებები: გამოიძახოს და დაკითხოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეებთან თანაბარ პირობებში; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის აღნიშნული დანაწესის იდენტურია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის მე-14 მუხლის მე-3 (ე) პუნქტის დებულებები, კერძოდ, მისთვის წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, როგორც მინიმუმ მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე: პირადად ან სხვების მეშვეობით დაკითხოს ბრალდების მოწმეები და ჰქონდეს უფლება, რომ გამოიძახონ და დაკითხონ დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეებთან თანაბარ პირობებში.

მოწმის სასამართლოში დაკითხვის ორი მოდელია გავრცელებული, პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა.

სასამართლო პროცესზე მტკიცებულებათა პრეზენტაცია იწყება, როდესაც პროკურორი იწყებს მოწმეების გამოძახებას. ის პირველი უსვავს მოწმეს კითხვებს, რასაც პირდაპირი დაკითხვა ჰქვია. პირდაპირი დაკითხვის მიზანია, რომ მოწმემ მისცეს ჩვენება იმ ფაქტების შესახებ, რაც გაამყარებს ბრალდების მხარის პოზიციას. მოსამართლეს შეუძლია აკონტროლოს პროკურორის მიერ მოწმეების დაკითხვის პროცესი და უკარნახოს კითხვის დასმის ფორმა. მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება შეაჩეროს განმეორებითი, შემაწუხებელი ან დამაბნეველი კითხვების დასმა. პირდაპირი დაკითხვის დროს პროკურორს უფლება არ აქვს დაუსვას მოწმეს ე.წ. leading question ( რაც მოწმეს მინიშნებს ან უბიძგებს გასცეს ძალიან კონკრეტული პასუხი. leading question-ის დასმა არ არის ნებადართული პირდაპირი დაკითხვის დროს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მაგალითად, როდესაც კითხვა ეხება უკვე დადგენილ ფაქტს; მოწმეს სირთულეები აქვს მეტყველებასთან დაკავშირებით; მოწმე არ არის განწყობილი პასუხის გასაცემად და ცდილობს თავი აარიდოს პასუხს ან მოწმეს უჭირს ფაქტების გახსენება).

შტატების ფედერალურ სასამართლოებში ჯვარედინი დაკითხვის დროს არ შეიძლება ისეთი კითხვების დასმა, რაც კავშირში არაა პირდაპირი დაკითხვის დროს მიცემულ ძირითად ჩვენებასთან. თუმცა შტატის სასამართლოები უფლებას აძლევენ მხარეებს, ჯვარედინი დაკითხვის დროს წამოჭრან ისეთი საკითხი, რაზეც არ

ყოფილა საუბარი პირდაპირი დაკითხვის დროს. ასეთივე წესია ინგლისში, კანადასა და ავსტრალიაში. მოწმეს არ ევალება გამოთქვას თავისი შეხედულებები ან გააკეთოს დასკვნები, თუ ის არ არის ექსპერტი მოწმე. დაცვის მხარეს შეუძლია გააპროტესტოს მოწმისთვის დასმული კითხვები. მოსამართლე ან იზიარებს მის პროტესტს ან უარყოფს. თუ მოსამართლე იზიარებს მის პროტესტს, მოწმე არ უპასუხებს დასმულ კითხვას.

პროკურორის შემდეგ მოწმის ჯვარედინ დაკითხვას იწყებს დაცვის მხარე. დაკითხვა ჯვარედინია, როდესაც მოწმის დაკითხვა ხდება მოწინააღმდეგე მხარის მიერ (როდესაც პროკურორი დაკითხვას დაცვის მხარის მოწმეს და პირიქით). ჯვარედინი დაკითხვის უფლება ფუნდამენტური უფლებაა ამერიკის იუსტიციის სისტემაში. ის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მნიშვნელოვანი კომპონენტია, ვინაიდან დიდ გავლენას ახდენს მოსამართლისა და ნაფიც მსაჯულთა შეხედულებებზე. მისი მიზანია გადაამოწმოს მოწმის სანდოობა და პირდაპირი დაკითხვის დროს მოწმის მიერ მიცემული ჩვენების სისწორე და გონივრულობა. ჯვარედინი დაკითხვის დროს შეიძლება დაისვას leading question.<sup>56</sup> ჯვარედინ დაკითხვას „მტრულ“ დაკითხვას უწოდებენ, იმიტომ რომ მოწინააღმდეგე მხარე ცდილობს ეჭვქვეშ დააყენოს მოწმის საიმედოობა (მაგ. მითითება მოწმის საექვო რეპუტაციაზე) და მიაღწიოს მოწმის აცილებას. აჩვენოს რომ მოწმე მიკერძოებულია ან რომ მოწმე დაინტერესებულია საქმის კონკრეტული შედეგის დადგომით. ჯვარედინი დაკითხვა ხელოვნებაა, რომელსაც კარგად უნდა ფლობდნენ როგორც ბრალდების ისე დაცვის მხარე. პროკურორი კარგად უნდა იყოს მომზადებული ჯვარედინი დაკითხვისთვის, მან ზუსტად უნდა იცოდეს როგორ მიიღოს მისთვის სასურველი შედეგი დაცვის მხარის მოწმისგან. ამისთვის ის კარგად უნდა იყოს ინფორმირებული, საქმეს დეტალურად უნდა იცნობდეს და ჰქონდეს ინფორმაცია დაცვის მოწმეებზეც. ჯვარედინი დაკითხვის წამმართველი ეფექტური უნდა იყოს არა მხოლოდ მოწმისგან სიმართლის გაგებაში, არამედ უნდა შეეძლოს მოწმის დაბნეულობის ჩვენებაც ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, როგორცაა დრო, თარიღები, ადამიანები, ადგილები და სხვ. როგორც პირდაპირი დაკითხვის დროს, ჯვარედინი დაკითხვის დროსაც შეიძლება კითხვების გაპროტესტება. დაცვის მხარის მიერ ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ, პროკურორს შეუძლია გაიმეოროს პირდაპირი დაკითხვა და დაუსვას მოწმეს დამატებითი კითხვები. ამის შემდეგ

<sup>56</sup>ბიბლიაშვილი მ., მოწმის დაკითხვა სასამართლოში. თბ2013, 2;

დაცვის მხარე თავად გადაწყვეტს უნდა თუ არა გაიმეოროს ჯვარედინი დაკითხვა. ბრალდების მხარის მიერ ყველა მოწმის გამოძახების შემდეგ მოწმეებს იძახებს დაცვის მხარე.

### **2.1.3. მოსამართლის როლი მხარეთა შეჯიბრებითობისას**

თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესი ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს, რაც იმას გულისხმობს, რომ მოსამართლის ფუნქციები შეზღუდულია პროცესის მიმდინარეობისას და მხარეების ერთგვარ შეჯიბრებაზე დამოკიდებული პროცესის მიმდინარეობაც და შემდგომში მოსამართლის მიერ საქმის გადაწყვეტაც.

მოსამართლის ერთადერთი ფუნქციაა, რომ დაიცვას ამ პროცესზე მხარეების თანასწორუფლებიანობა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, იმ მტკიცებულებებისა და ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც მხარეები წარმოუდგენენ. მას არ აქვს უფლებამოსილება დაეხმაროს მხარეს მტკიცებულების მოძიებასა და წარმოდგენაში, რადგან ის არის ნეიტრალური პირი რომელიც იღებს გადაწყვეტილებას კანონისა და საკუთარი შინაგანი რწმენის მიხედვით. მოსამართლე არის მთავარი ფიგურა სხდომის წარმართვის დროს. მისი ფუნქციაა წარმართოს სხდომა და სასამართლოს თათბირი, მხარეებს მისცეს შესაძლებლობა დაუბრკოლებლად წარმოადგინონ მტკიცებულებები, უზრუნველყონ წესრიგის დაცვა.

შეჯიბრებითობის პრინციპის გამოხატველია და მტკიცებულებების შეკრებაში მოსამართლეთა ჩაურევლობაზე მიუთითებს კოდექსის 228-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თუ მხარე არ აპირებს რომელიმე პირის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში, სასამართლოს მიერ ამ პირის საკუთარი ინიციატივით გამოძახება და დაკითხვა დაუშვებელია.

მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად. განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს უფლება არ აქვს, აზრი გამოთქვას ბრალდებულის დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე თუ სასამართლო

სხდომაში ორივე მხარე მონაწილეობს, ერთი მხარის შუამდგომლობასთან ან საჩივართან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც.<sup>57</sup>

მოსამართლე დავის სამართლებრივი შეფასებისას სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის ფაქტობრივ საფუძველზე მუშაობისაგან და არ არის შეზღუდული დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის პრინციპით. შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპი მოქმედებს მხოლოდ დავის ფაქტობრივ გარემოებების გამოკვლევისა და დადგენის ეტაპებზე, ხოლო ნორმატიული შინაარსის გენსაზღვრა უკვე სასამართლოს პრეროგატივაა.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს საპროცესო კოდექსით მოსამართლის ფუნქცია შემოიფარგლება მხოლოდ პროცესის ფორმალური კონტროლით. შეჯიბრებით მოდელში მიუხედავად მოსამართლის პასიური როლის მოლოდინისა, იგი არ გამორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სასამართლო ინიციატივას.

მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი ყოველგვარი გარეშე ზეგავლენისაგან. თუ წარმოიშვა საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ საპროცესო კანონით გათვალისწინებული ამა თუ იმ გარემოების არსებობის გამო ის პროცეს ვერ წარმართავს ობიექტურად, მაშინ დგება მისი აცილების საკითხი, რასაც მხარეები აყენებენ შუამდგომლობით.

#### **2.1.4. შეჯიბრებითობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში**

2009 წელს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, საქართველოში დამკვიდრდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კლასიკური მოდელი, რომელიც გულისხმობს ფუნქციათა მკაცრ გამიჯვნას მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს შორის. ამ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ ვერდიქტი ბრალდებულის დამნაშავეობასა თუ უდანაშაულობასთან დაკავშირებით, ხოლო მოსამართლე დამნაშავედ ცნობილ პირს უფარდებს სასჯელს და წყვეტს სხვადასხვა პროცესუალურ საკითხს.<sup>58</sup>

<sup>57</sup>ბენიძე დ., შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2012, გვ.16

<sup>58</sup>ნაფიცმსაჯულების სისხლის სამართლი პროცესში, ადამიანის უფლებათა ქსელი, თბილისი, 2016, 32

შეჯიბრებითობის პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვისას, რა დროსაც სწორედ მხარეთა მომზადებაზე, პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაზეა დამოკიდებული, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ნაფიც მსაჯულები, როგორ დაარწმუნებენ მათ პირის ბრალეულობასა და უდანაშაულობაში.<sup>59</sup>

საქართველოში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან მკვიდრდება ნაფიცმსაჯულთა სასამართლო მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებისთვის. ჩვენს ქვეყანაში მანამდე არსებული სისტემისგან განსხვავებით, მკვლელობაში ბრალდებული პირის ბრალეულობა ან უდანაშაულობა, პროფესიონალი მოსამართლის ნაცვლად, ახლა უკვე უნდა დადგინდეს ნაფიცი მსაჯულების მიერ, რომლებიც საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები არიან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ყველაზე დემოკრატიულ ფორმად არის მიჩნეული, რადგან ამ შემთხვევაში თავად ხალხი გვევლინება მოსამართლედ. თანამოქალაქის მიერ დანაშაულის ჩადენაში ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტის დროს საზოგადოების როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში მეტად მნიშვნელოვანია. იგი მოიცავს საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობას, ასევე მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქის პირად პასუხისმგებლობას.

მხარეთა შეჯიბრებითობა, შეიძლება ითქვას, უფრო სრულყოფილად რეალიზებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის კლასიკური მოდელი დამკვიდრდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ბოლომდე არა, რადგან სასჯელის დანიშვნის სხდომაზე შეიძლება ნაფიც მსაჯულებიც მონაწილეობდნენ, თუ არცერთი მხარე არ განაცხადებს უარს და მათ მიერ გაცემული სასჯელის დამძიმების ან შემცირების რეკომენდაცია სულაც არ არის სარეკომენდაციო ხასიათის, არამედ სავალდებულოა მოსამართლისათვის.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის კლასიკური მოდელი მოქმედებს საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში, სადაც მოსამართლეებსა და მსაჯულებს შორის ფუნქციები მკაცრად გამიჯნულია და პირის ბრალეულობის საკითხს წყვეტენ

---

<sup>59</sup>მამნიაშვილი მ., გახოკიძე გ., და გაბისონია ი., რედ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბ., 2013, 89.

ნაფიცი მსაჯულები, მოსამართლე კი იხილავს მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს და განსაზღვრავს სასჯელს.<sup>60</sup>

ჩვეულებისამებრ ნაფიცმსაჯულთა სასამართლო 12 ძირითადი და ორი სათადარიგო მსაჯულისგან შედგება. ნაფიცმსაჯულთა სასამართლოში არ უნდა იყოს ექვსე ნაკლები მსაჯული, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები მძიმე დანაშაულთა კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები განაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე. ნაფიცმსაჯულებს გამოაქვთ ვერდიქტი გამამტყუნებელი ან გამამართლებელი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი ადგენს ვერდიქტის მიღების წესს. პირველი ოთხი საათის განმავლობაში მსაჯულებმა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ერთხმად. ამავე მუხლის მე-7 ნაწილით დადგენილია მოსამართლის მწშენელოვანი უფლებამოსილება, გადახედოს ნაფიცმსაჯულების მიღებულ გადაწყვეტილებას, გამამტყუნებელ ვერდიქტს და გააუქმოს იგი, თუკი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმებას სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. ნორმის ფორმულირების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ უნდა არსებობდეს ვერდიქტის აშკარა, თვალსაჩინო წინააღმდეგობა მტკიცებულებათა ერთობლიობასთან. სასამართლოსთვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭება გამართლებულია, რამდენადაც სხვაგვრად შეიძლება მოხდეს ბრალდებულის კონსტიტუციური უფლების განაჩენის მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობის შესახებ, დარღვევა.

---

<sup>60</sup>აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი გერმანულ-ქართულისისხლისსამართლისჟურნალი, DGSTZDEUTSCH-GEORGISCHE STRAFRECHTSZEITSCHRIFT, 2/2016 Einige Aspekte des Parteiprozesses gemäß georgischer StPO Von Associate-Professor Dr. Irina Aqubardia, Iwane-თბ 2016წელი; გვ13;

### თავი III. პრობლემური საკითხები კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2010 წლის ოქტომბერში ამოქმედდა და არაერთი ცვლილება განიცადა, დღემდე ვერ მოხერხდა ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება.

სსსკ-ის მე-9 მუხლში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები გამოყოფილია ერთმანეთისაგან და არ შეიძლება დაეკისროს ერთსა და იმავე ორგანოს ან ერთსა და იმავე თანამდებობის პირს. ამ მუხლში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ასევე, ის თუ ვის ეკისრება ბრალდების ფუნქცია და ვის აქვს დაცვის უფლება და ის გარემოება, რომ საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში განმარტებულია, ვინ არის ბრალდების მხარე და ვინ-დაცვის მხარე, არაფერს ცვლის.<sup>61</sup> ამის პარალელურად კოდექსის 37-ე მუხლში აღნიშნული დებულება ხშირად ხდება ხოლმე იურისტების დავის საგანი, მით უმეტეს მაშინ როცა იმავე საპროცესო კოდექსით გამომძიებელი და პროკურორი ბრალდების მხარეს წარმოადგენენ, ხოლო პრაქტიკაში ვერ ხერხდება გამოძიებისა და დევნის ინტერესების გამიჯვნა.

სასამართლო განხილვის სტადიაზე მოსამართლე წარმოადგენს დამოუკიდებელ არბიტრს, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ ორი მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სასამართლოში მათი განხილვის ხარჯზე.<sup>62</sup> ამის მაგალითია საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილება, რომლითაც გააუქმა რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის განაჩენი,<sup>63</sup> კონკრეტულად: - პირი მსჯავრდებულად იქნა ცნობილი რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის გამო და მიესჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და მოითხოვეს თავისუფლების აღკვეთის გირაოთი შეცვლა. სააპელაციო სასამართლო გასცდა სასარჩელო

<sup>61</sup> ბენიძე დ., შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, სამეცნიერო ნაშრომების კრებული, თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებთან სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010წ, გვ.150;

<sup>62</sup> ბენიძე დ., შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2012, 46.

<sup>63</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 2 დეკემბრის განაჩენი.

მოთხოვნას და მსჯავრდებული პირი ცნო უდანაშაულოდ. <sup>64</sup> აღნიშნულმა სასამართლო პრაქტიკამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის<sup>65</sup> სსსკ-ის 297-ე მუხლის „ზ“ პუნქტის შესაბამისობა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეოთხე პუნქტთან - არ შეიძლება გამეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის, რის შედეგაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა „სსსკ-ის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის განმეორებით მსჯავრდება.“<sup>66</sup>

კანონში დაშვებული თითოეული შეცდომა თუ ნორმის არასწორი ინტერპრეტაცია სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მხარეთა უფლებრივ საკითხებზე და აქედან გამომდინარე მათ საქმიანობაზე კანონში ზუსტად უნდა იყოს გაწერილი მხარეთა უფლებამოსილებები და მკვეთრად გამიჯნული მათი ფუნქციები.

სსსკ 114-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირის მოწმედ დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მხარეთა მონაწილეობით მიმდინარეობს. დაკითვის ინიციატორი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოწმე არ დაიკითხება. მეორე მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს დაკითხვის წარმოებას. თუმცა ამ საერთო წესიდან გამონაკლის უშვებს კანონი, კერძოდ, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე ან/და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სიცოცხლის, ჯამრთელობის, ქონების, პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, მხარის დასაბუთებული და მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის დაკითხვა ჩატარდეს მეორე მხარის წინასწარი ინფორმაციისა და დასწრების გარეშე. ამ შემთხვევაში მოწმის მიერ მიცემული ჩვენება სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს დაუშვებელი მტკიებულებაა, თუ შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითვა. კანონი კი არ განსაზღვრავს თუ რა იგულისხმება მართლმსაჯულების ინტერესებში. <sup>67</sup>აღნიშნული

<sup>64</sup>საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი constcourt.ge , სარჩელი N609 < [www.constcourt.ge/ge/ajax/downloadFile/1756](http://www.constcourt.ge/ge/ajax/downloadFile/1756) >ბოლო ნახვა 29.04..2018.

<sup>65</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება N3/1/608/609;

<sup>66</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 297, 2009;

<sup>67</sup>აქუბარდია ი., გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ, ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N3, 2018,6



ნორმა დაზუსტებას მოთხოვს. აუცილებელია დაკონკრეტდეს თუ რა იგულისხმება მართლმსაჯულების ინტერესებში. მოწმის მიერ მიცემული ჩვენება სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა, მაგრამ თუ მოწმის ხელახალი დაკითხვა არ იქნება შესაძლებელი, მოწმის ჩვენება დასაშვებ მტკიცებულებად ჩაითვლება. რეალურად კი ასეთი ჩვენება ნაკლებად სანდო და დამაჯერებელი უნდა იყოს, რადგან მეორე მხარეს არ ჰქონდა მისი გამოკვლევის შესაძლებლობა და შესაბამისად მიღებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით.

2015 წლის 18 დეკემბერს სსსკ-ის 114-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ბრალდების მხარეს დამატებით მიეცა უფლება, გამოძიების ეტაპზე მაგისტრატის მოსამართლის წიანზე დაკითხოს პირი, რომელიც გამოკითხვაზე უარს ამბობს.<sup>68</sup> დაცვის მხარეს კი არ აქვს უფლება მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს იმ პირის დაკითხვის შუამდგომლობით, რომელმაც მას გამოკითხვაზე უარი უთხრა.

აღნიშნული უფლება კი არ უნდა ქონდეს მხოლოდ ბრალდების მხარეს, რადგან დაცვის მხარისთვის ამ უფლების მინიჭება ბრალდების მხარის მიერ გამოძიების ობიექტურ ჩატარებას ხელს არანაირად არ შეუშლის.<sup>69</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ გამომძიებელი ვალდებულია შეკრიბოს და დაურთოს საქმეს ბრალდების, როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებები. ყოველივე აქედან გამომდინარე გამომძიებელი აწარმოებს მტკიცებულებათა გამოკვლევას, რაზედაც შეფასებას იძლევა და გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. ასეთ დროს არაა მიზანშეწინილი გამომძიებელი ჩაითვალოს ბრალდების მხარედ. ამის გამო კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილიდან სიტყვა გამომძიებელი ამოღებული უნდა იყოს.

აღსანიშნია დაცვის მხარისათვის დაწესებული შეზღუდვები, ასევე წარმოადგენს შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელოვან დარღვევას, რადგან დაცვის მხარეს არ ეძლევა საშუალება, თვითონ ჩატათაროს და თვითონვე გამოიკვლიოს მისი შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინებით ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებები ან საგამომძიებო მოქმედება ჩატაროს გადაუდებელი აუცილებლობით, როგორც ამას აკეთებს ბრალდების მხარე.

<sup>68</sup> თბილისის საქალაქო სამსამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განაჩენი;

<sup>69</sup> მეიშვილი ზ., მოწმის დაკითხვა გამოძიების ეტაპზე, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“ N2(50), 2016წ, გვ. 25.

მტკიცებულებათა ცნებიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად სადავოა საკითხი, წარმოადგენს თუ არა მტკიცებულებას ისეთი საპროცესო დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს ამა თუ იმ მტკიცებულების კანონიერად მოპოვებას ან/და გამოხატავს მხარეების საპროცესო პოზიციას ამა თუ იმ საკითხზე. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მხარეები და სასამართლო არაერთგვაროვნად გამოხატავს და იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს ამ საპროცესო დოკუმენტთა დაშვებულად ცნობისა და საქმიდან ამოღების თაობაზე, მით უფრო, რომ ზოგიერთი მათგანის დაუშვებლად ცნობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქმის შედეგზე. ამიტომ, საჭიროა მიმოხილვა საპროცესო კოდექსით ზუსტად განსაზღვრული მტკიცებულებათა სახეები და მათი მოპოვებისთვის გათვალისწინებული წესები.

ამრიგად საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკა მომავალში კიდევ მეტ ხარვეხს წარმოაჩენს, რადგან სისხლის სამართლის პროცესი შინაარსობრივად რთული მეცნიერებაა და არსებული პრაქტიკის მუდმივი შესწავლა -გაანალიზებით იგი სისტემატურად უნდა დაიხვეწოს.

სსსკ -ის 124 მუხლის მიხედვით, მხოლოდ პროკურორს აქვს უფლება შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საბანკო ანგარიშების მონიტორინგის ჩატარებაზე ნებართვის გაცემის თხოვნით. შესაბამისად აქ ჩნდება კითვა, მოცემული მუხლის არსებული საკანონმდებლო რეგულაციით, ხომ არ ირღვევა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის ფუნდამენტური პრინციპი? მართალია „მხარეთა თანასწორობა არ არის აბსოლუტური უფლება და არ გულისხმობს მტკიცებულებათა წარდგენის უფლების შეზღუდვას. აღინიშნოს უნდა, რომ მთლიანი პროცესი უნდა იყოს შეჯიბრებითი და რომელიმე მხარის უპირატესობა, საბოლოო ჯამში არ უნდა ქმნიდეს არსებით უთანასწორობას.“<sup>70</sup>

რაც შეეხება საბანკო ანგარიშების მონიტორინგს ნებართვის გაცემის თაობაზე სასამართლოს განჩინების შესახებ არ ენობება დაცვის მხარეს, შესაბამისად, გასაჩივრების უფლებით ვერ ისარგებლებს დაცვის მხარე.<sup>71</sup>

<sup>70</sup>ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზურიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი ავტ. ჯგუფი. 2015წ, გვ.87-88;

<sup>71</sup>ქვრივიშვილი თ., საბანკო ანგარიშების მონიტორინგი სისხლის სამართლის პროცესში, „მაია ივანიძე-50, საიუბილეო კრებული“, თბ.,2017 გვ 167;

## თავი IV. შეჯიბრებითობის პრინციპი საზღვარგარეთის ქვეყნებში

### 4.1. შეჯიბრებითობა ანგლოსაქსური სამართლის სისტემაში

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს უფრო მეტ შეჯიბრებითობის ხარისხს, ვიდრე მანამდე მოქმედი კანონი. სწორედ აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ამგვარი სისხლის სამართლის საპროცესო სისტემა „ზედმეტად“ შეჯიბრებითია<sup>72</sup>. რომელიც ძირითადად დამახასიათებელია ინგლისურ-ამერიკული საპროცესო სისტემისთვის.

სისხლის სამართალწარმოების ინგლისურ-ამერიკული მოდელის მკვლევარები, ბოლო წლებში საკმაოდ ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შეჯიბრებითი პროცესისთვის დამახასიათებელია მისწრაფება „დამტკიცებისაკენ“ და არა „ჭეშმარიტებისაკენ“. ეს მოდელი თითქოს ორიენტირებულია სამოქალაქო თავისუფლებათა პრიორიტეტულობაზე, რომელიც უზრუნველყოფს „უდანაშაულოთა მაქსიმალურად გამართლებას დამნაშავეთაგან ვინმეს გამართლების რისკით“. მისთვის სულ ერთია საჯარო ინტერესები და ნებისმიერ ფასად ჭეშმარიტების მიღწევა, რომლებიც თითქოსდა სისხლის სამართალწარმოების იმ მოდელის სათავეშია მოქცეული, რომელსაც კონტინენტური ევროპის სახელმწიფოები იზიარებენ<sup>73</sup>

აღსანიშნია, რომ როგორც საქართველოში, ისე ინგლისა და ამერიკაში ბრალდების მხარის უკან სახელმწიფო დგას, ვინაიდან მას ძირითად შემთხვევაში არ გააჩნია საკმარისი თანხები პარალელური გამოძიების სრულფასოვნად ჩასატარებლად.

ანგლო-ამერიკული წინასასამართლო წარმოებისას თითოეული მხარე დამოუკიდებლად აგროვებს მტკიცებულებებს და ქმნის თავისი საქმის მასლებს, რომლის შედეგადაც ისინი ვალდებული არიან ერთმანეთს გააცნონ მოპოვებული მტკიცებულებები, რადგან სისხლის სამართლის პროცესი მხოლოდ სასამართლოში მხარეთა შორის ბრძოლა არ არის.<sup>74</sup> ანგლოსაქსურ სამართლის ქვეყნების სისტემაში

<sup>72</sup>Cristine Van Den Wingaert and C.Gane, H.H Kuhne. F. Mcauely. (1993)

ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები. Butterworths. London, Brussels, Dublin, Edinburgh. ქართული თარგმანი. რედ: ნინო გვენეტაძე. გვ. 98.

<sup>73</sup> Sanders A. (1994) From Suspect to Trial // The Oxford handbook of Criminology. Oxford. P. 773.

<sup>74</sup> გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის

პროცესი, თბ., ავტ. ჯგუფი. 2007, გვ 106

ადვოკატი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში სასამართლოს განხილვისას და სიტყვა გამოთქვას დამცველის სახით. წარმოადგინოს ბრალდებულის ინტერესები წინასწარი გამოძიებისას წამოჭრილ საკითხებზე, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ან სასამართლო ინსტანციებში, სადაც განაჩენის კანონიერება და დასაბუთებლობა მოწმდება. საქართველოსაგან განსხვავებით აქ ადვოკატებს შეუძლიათ თთანამშრომლონ კერძო დეტექტივებთან და სხვა სპეციალისტებთან, რომლებიც საჭირო არიან დაცვის მტკიცებულებათა მოპოვებასა და დამუშავებაში.<sup>75</sup> საყურადღებოა, რომ ამერიკასა და ინგლისში მხარეები „არ არიან ვალდებულნი, ვიდრე საქმე არ გადაცემულა სასამართლოსთვის, თავიანთ საპროცესო მოწინააღმდეგეებს გააცნონ მათ წინააღმდეგ შეკრული მასალა სრული მოცულობით.“<sup>76</sup>

ინგლისსა და ამერიკაში შესაძლოა დაცვისა და ბრალდების მხარის უფლებამოსილებები სამართლებრივი კუთხით მოწესრიგებული იყოს და ამ მხრივ მართლაც მოქმედებს სრულად შეჯიბრებითობის პრინციპი, მაგრამ მატერიალური კუთხით არათანაბარ პირობებში ყოფნა ყველა ქვეყნის პრობლემაა, ვინაიდან პარალელური გამოძიების ჩატარება ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული სამართალწარმოების დასაწყისიდანვე ბრალდება და დაცვა სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ბრალდებას შეუძლია იძულების ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა დაპატიმრება, სატელეფონო მოსმენა, ჩხრეკა და ამოღება. მას ასევე ხელი მიუწვდება მაღალტექნოლოგიურ საშუალებებზე ბრალდებულს არ გააჩნია მსგავსი შესაძლებლობები. სამაგიეროდ ფლობს ზუსტ ინფორმაციას საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებზე, თუ რასაკვირველია დამნაშავეა. მტკიცების ტვირთი ბრალდებას ეკისრება, ბრალდებულს კი შეუძლია იყოს პასიური და შეინარჩუნოს დუმილი მთელი სამართალწარმოების მანძილზე.

---

<sup>75</sup>გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის

პროცესი, თბ., ავტ. ჯგუფი. 2007, გვ 118.

<sup>76</sup>იქვე 14.

## 4.2. შეჯიბრებითობა კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში

კონტინენტურ ევროპული სამართლის ქვეყნებში შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედება ანგლოამერიკული ქვეყნებისაგან განსხვავებულია. მისთვის დამახასათებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი მექანიზმების არსებობა, რომელიც მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენოს საკუთარი უფლებამოსილება, გასცდეს შეჯიბრებით პროცესსა და თავადვე განსაზღვროს კონკრეტული საპროცესო მოქმედებები.

კონტინენტურ სამართალწარმოებაში ანგლოამერიკული სამართლებრივი სისტემისაგან განსხვავებით სასამართლო არ განიხილება როგორც არბიტრი, როგორც პროცესის მთავარი „მენეჯერი“, არამედ აქტიურად მონაწილეობს მტკიცებულებათა გამოკვლევაში.

კონტინენტური სამართლის ქვეყნების სისტემაში მტკიცებულებების მოპოვება და მისი სასამართლოში წარდგენა ერთობლივი საქმიანობაა და შესაბამისად, სხვადასხვა ორგანოების კომპენტენციებს შორის გამყოფი ხაზის გავლება ნაკლებად მნიშვნელოვანია. შედეგად, საპროკურორო ორგანოები აქ საგამომიებო საქმიანობას ხელმძღვანელობენ. როგორც ელსნერი და ლუისი წერენ: „თითქმის ყველა კონტინენტური სამართლის სისტემაში პროკურატურა, ტრადიციულად განიხილება საგამომიებო ეტაპის ძირითად წარმმართველად. იმის მიუხედავად, რომ როგორც პროკურატურა, ასევე პოლიცია ორგანიზაციულად დამოუკიდებელი ინსტიტუტები არიან და სხვადასხვა სამინისტროს წინაშე არიან ანგარიშვალდებულნი, პოლიცია საგამომიებო ფუნქციებთან მიმართებით პირდაპირ პასუხისმგებელია პროკურორის წინაშე.“<sup>77</sup>

მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლების - სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების, უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.<sup>78</sup> სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შემადგენელი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ ისეთ სპეციალურ

<sup>77</sup>ვოგლერი რ., პროკურორისა და საგამომიებო ორგანოების ურთიერთმიმართება ორ ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყანაში: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და უელსი, ინგლისი 2017 გვ 6

<sup>78</sup>ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენცია. რომი, 1950:გვ 54

უფლებებთან, როგორცაა წარმოდგენილი ბრალდების არსისა და საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, საკმარისი დროისა და შესაძლებლობის ქონა დაცვის მოსამზადებლად, ბრალდებულმა დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, უფლება დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოამახებინოს და დააკითხინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში,<sup>79</sup> დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღება და სხვა.

მხარეთა თანასწორობა ევროპული სასამართლოს აზრით, გულისხმობს, რომ თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს საკუთარი პოზიციის მათ შორის მტკიცებულებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობების ისეთი პირობები, რომლებიც მას არ ჩააყენებს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგესთან შედარებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეჯიბრებითობაზე დაფუძნებულ პროცესს სამართლიანი სასამართლოს არსებით ნაწილად, ხოლო შეჯიბრებითი პროცესის ეფექტიანობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მოსმენის უფლებას განიხილავს. პირი, რომელიც საქმეს განიხილავს როგორ წესი, ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას და მისი მოსაზრებები შეიძება იყოს საინტერესო და გავლენის მომხდენი სასამართლო გადაწყვეტილებაზე. „მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ მათთვის ცნობილი იყოს ყველა მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია მათი საჩივრების წარმატებისათვის, არამედ ასევე იცოდნენ და კომენტარი გააკეთონ სასამართლო გადაწყვეტილებაზე ზეგალების მოხდენის მიზნით წარდგენილ ყველა მტკიცებულებაზე ან წერილობით პასუხზე.

---

<sup>79</sup>ევროპული კონვენციის 6.3(დ) მუხლი.

## დასკვანა

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში განვიხილე შეჯიბრებითობის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის, პრინციპის მნიშვნელობა სისხლის სამართალწარმოებაში.

თავისთავად შეჯიბრებითობის პრინციპის აღიარება დადებითი მოვლენაა, მაგრამ მის პრაქტიკულ რეალიზაციას თან უნდა ახლდეს სათანადო სფუძველი და სამართლებრივი გარანტიები. კანონში დაუშვებელია შეცდომები, ასევე არასწორი ინტერპრეტაციაც. კანონში ზუსტად უნდა იყოს გაწერილი მხარეთა უფლებამოსილებები და მათი ფუნქციები. სისხლის სამართლის არსებული შეჯიბრებითობის პრინციპი არ არის წმინდა შეჯიბრებითი, რა დროსაც მხოლოდ მხარეთა პოზიციებისა და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას.

ქართული სისხლის სამართლის პროცესში არსებული შეჯიბრებითობის პრინციპი არ არის წმინდა შეჯიბრებითი, რა დროსაც მხოლოდ მხარეთა პოზიციებისა და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნეიტრალური არბიტრი, მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას.

შეჯიბრებითობის პრინციპისთვის დამახასიათებელია მხარეთა მიერ მტკიცებულებების დამოუკიდებლად მოპოვება. ანუ ბრალდების მხარემ, სახელმწიფო რესურსის გამოყენებით, უნდა იზრუნოს მხოლოდ გამამტყუნებელი მტკიცებულებების შეგროვებაზე. ხოლო, დაცვის მხარემ, მათ დამოუკიდებლად, სახელმწიფო ორგანოების დახმარების გარეშე უნდა იზრუნოს მტკიცებულებების მოპოვებაზე. ყოველივე აქედან ნათლად ჩანს, რომ ბრალდებულს უწევს საკმაოდ დიდხანს ფინანსების მოძიება არა მხოლოდ დამცველის შრომის ასანაზღაურებლად, არამედ წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების მოპოვებისათვის. რა თქმა უნდა ასეთი სახის სახსრების გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი დაცვის განხორციელება, თუმცა მათი არასაკმარისობა ყვლგან იგრძნობა როგორც ანგლოსაქსური ისე კონტინენტური სამართალწარმოებისას.

რეალური შეჯიბრებითობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია მხარეები იყვნენ ძლიერნი, რაც განსაკუთრებით დაცვის მხარეს ეხება. მხარეებისათვის საჭიროა კვალიფიკაციისა და კომპენტენციის მაღალი სტანდარტის არსებობა. ამასთან, აუცილებელია გაიზარდოს მოსამართლის როლი სისხლის სამართლის პროცესში,

მოსამართლეს გააჩნდეს აქტიური როლი მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით შეძლოს გავლენის მოხდენა საქმის შედეგზე.

უნდა ითქვას, რომ გამომძიებელი ვალდებულია შეკრიბოს და დაურთოს საქმეს ბრალდების, როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებები. ასეთ დროს არაა მიზანშეწონილი, გამომძიებელი ჩაითვალოს ბრალდების მხარედ. ამის გამო კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილიდან სიტყვა გამომძიებელი ამოღებული უნდა იყოს.

ნაშრომზე მუშაობისას წარმოჩინდა, რომ მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის უფლებამოსილების მხოლოდ ბრალდების მხარისთვის მინიჭებით მნიშვნელოვნად ილახება მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპი, რადგან ახალი რეგულაციით, დაცვის მხარე არ ესწრება მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვას, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარე ვერ ამოწმებს მოწმის სანდოობას. აღსანიშნავია, რომ საქმის არსებით განხილვაზე დაცვის მხარეს შეუძლია ჯვარედინი წესით დაკითხოს მოწმე და ამგვარად მოახდინოს ამ ზარალის კომპენსირება, რაც მოწმის გამოძიების ეტაპზე დაკითხვაში მონაწილეობის მიუღებლობით მიადგა, მაგრამ დაცვის მხარის აღნიშნული უფლება ატარებს ფორმალურ ხასიათს. რადგან, ის რეალურად ვერ უზრუნველყოფს მოწმის სანდოობის შემოწმებას, რაც აზარალებს მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას.

სსსკ 44-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადვოკატს არ აქვს უფლება ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრალდებული არასრულწლოვანია, ან აქვს ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი. ეს ნორმა გარდა იმისა რომ ზღუდავს ადვოკატის უფლებას, სრულად განახორციელოს დაცვითი ფუნქცია წინააღმდეგობაშია სხვა ნორმებთან. აქედან გამომდინარე ადვოკატს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, მაგრამ ამისთვის ბრალდებულის თანხმობაა საჭირო.

სხვა ნორმების შესაბამისად კი ადვოკატი საერთოდ არ სარგებლობს აღკვეთის ღონისძიების, ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში მიღებული გადაწყვეტილებების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების უფლებით.

ერთი შეხედვით, შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც დაცვის მხარეს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას უნდა იყოს საუკეთესო მოდელი სისხლის სამართლის



საპროცესო სისტემაში ბრალდებულისთვის საკუთარი თავის დასაცავად. თუმცა, მასში ვაწყდებით უსამართლობის, არაჭეშმარიტების ელემენტებს, რომელიც, მკაცრად მიუღებელია სისხლის სამართლის პროცესისათვის. როგორც ცნობილია, ყველგან და ყოველთვის მტკიცებულებათა გამოვლენა და შეკრება საქმის სასამართლოში წარმოების დაწყების მომენტიდან ითვლებოდა და ითვლება, რომ ეს სპეციალურად მომზადებული პროფესიონალების საქმეა, რომელთა ზურგს უკან სახელმწიფო დგას თავისი ფართო მატერიალური, ტექნიკური და ორგანიზაციული რესურსით.

გარდა აღნიშნულისა, შეჯიბრებითობის პროცესის ერთ-ერთი ხარვეზია ფინანსური და მატერიალური საკითხები.

შეჯიბრებითობის პრინციპი არის, მისი თეორიული და პრაქტიკული მხარის ანალიზი. ასევე, მისი რეალიზების პრობლემის განხილვა გამოძიების სტადიაზე, საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ შემდეგი სახის დასკვნები: მართალია, ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის აუცილებელია, რომ მის სისხლის სამართლის პროცესში განმტკიცებული იყოს შეჯიბრებითობის პრინციპი, თუმცა ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად დამოუკიდებელია სასამართლო სისტემა და მთლიანად მართლმსაჯულება. ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა უნდა ხორციელდებოდეს განუხრელად და შესაბამისად ამას მოჰყვება სასამართლო სისტემის გაძლიერება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს შეჯიბრებითობის განვითარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

### ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია 1995 წლის. 2017 წლის რედაქცია;
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 1998 წლის, 2006 წლის 01 თებერვლის მდგომრეობით
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1983წელი;

### სამეცნიერო ლიტერატურა:

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები ავტორთა ჯგუფი თბ., 2015წელი;
5. აბაშიძე გ., პროკურორი - გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, თბ.,2011წელი;
6. აქუბარდია ი., გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ, ჟურნ. "სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები", N3, 2018 წელი;
7. აქუბარდია ი., შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი , გერმანულ-ქართულისისხლისსამართლისჟურნალი,DGSTZDEUTSCH-GEORGISCHE STRAFRECHTSZEITSCHRIFT, 2/2016 Einige Aspekte des Parteiprozesses gemäß georgischer StPO Von Associate-Professor Dr. Irina Aqubardia, Iwane-თბ 2016წელი;
8. აქუბარდია ი., მხარეთა თანასწორობისა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, იხ. მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებულში, 2017წელი;
9. აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება გამომცემლობა მერიდიანი, თბ. 2011წელი;
10. ბაბილაშვილი ჯ., სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ინსტიტუციური ნოვაციები. სამეცნიერო შრომების კრებული 5ტ. გამომცემლობა უნივერსალი თბ.2013წელი;
11. ბენიძე დ., შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, სამეცნიერო ნაშრომების კრებული, თბილისის ეკონომიკური ურთიერთობებათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010წ;
12. ბენიძე დ., შეჯიბრებითობის თავისებურება ბრალდებით და სამძებრო (ინკვიზიციური) ტიპის პროცესში. თბილისი 2010წ ელი;
13. გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., „ფარული საგამოძიებო მოქმედებები თუ ოპერტიულ-სამძებრო სქემანობა?“, წიგში „სისხლის სამართლის პროცესის და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები,სტუ, სამეცნიერო ნაშრომების კრებული,2010წელი;
14. გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლისპროცესი, თბ., 2007წელი;
15. გროესტადი, ა.რ, იონაპ., „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენება სისხლის სამართლის საქმეებზე“,2012წელი;

16. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა. ავტორთა ჯგუფი, 2013წელი;
17. სტროგოვიჩი მ.ს., სისხლის სამართალი პროცესი, თბ., 1948წ;
18. მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბ., 2007წელი;
19. კობახიძეა., სამოქალაქოსაპროცესოსამართალი, თბილისი, 2003წელი;
20. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., დადემქელიანი გ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა ჯგუფი, თბილისი, 2015წელი;
21. დეკანოიძე ლ., შეჯიბრებითობის პრინციპი და შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თანამესროვე სამართლის ჟურნალი. N1-2017წელი;
22. ლილუაშვილით., სამოქალაქოსაპროცესოსამართალი, I ნაწილი, თბილისი 2005წელი;
23. ლეკვიშვილი მ., სასამართლო პროცესი XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1963წ;
24. თოდრიათ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბილისი, 2011წელი;
25. ვაჩიშვილი ალ., „სისხლის სამართლის პროცესი, ნარკვევები სისხლის სამართლის პროცესის ისტრიიდან I ნაკვეთი, თბ., 1955წელი;
26. მეურმისვილი ბ., სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში. 2014წელი;
27. მეიშვილი ზ., მოწმის დაკითხვა გამოძიების ეტაპზე, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე ჟ. „მართლსაჯულება და კანონი“ N2(50), 2016წელი;
28. ქვიციანიშვილი თ., საბანკო ანგარიშების მონიტორინგი სისხლის სამართლის პროცესში, „მაია ივანიძე-50, საიუბილეო კრებული“, თბ., 2017 წელი;
29. ვილდებ., ვოგლერი., მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში თბილისი, 2015წელი;
30. ნაფიც მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებათა ქსელი, თბილისი, 2016წელი;
31. ნიპარიშვილი ბ., ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა დს პროცესის შეჯიბრებითობა, რედ. ნ. ძიძიგური., მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2016წელი;
32. ვოგლერი რ., პროკურისა და საგამოძიებო ორგანოების ურთიერთმიმართება ორ ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყანაში: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და უელსი, ინგლისი 2017 წელი;
33. თუმანიშვილი გ. შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში 2014 წელი;
34. კორძაძე ზ., სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის კვლევა და რეკომენდაციები, თბ., 2015წელი;
35. ლალიაშვილი თ. ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ-ევროპული სამართლის პროცესის სისტემების ჰარმონიული კონვერგენცია და მისი მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლის სისტემისათვის. თბ 2016წელი;
36. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მეხუთე გამოცემა, თბილისი, 2015წელი;

## უცხოური ლიტერატურა:

37. Strafprozessordnung (სისხლისსამართლისსაპროცესოკოდექსი, StPO), მუხლი 127;
38. Sanders A. From Suspect to Trial // The Oxford handbook of Criminology. Oxford. P. 1994;
39. Vogler, R., A World View of Criminal Justice. Aldershot, Ashgate, 2017;
40. Huber, B. Germany. Criminal Procedure in Europe. R. K. Vogler and B. Huber. Berlin, Duncker & Humblot: 2008;
41. Смирнов Александр/Калиновский, Константин, Уголовный процесс, 2008;
42. Современный словарь иностранных слов., М.,С .206 , მითითებულია: Дикарев И.С., dasax. naSr., 1992;
43. Fosten, Heile, Traite de l instruction criminelle, ou Theorie du Code d instruction criminelle. En 3.Vol.V.I.Brutelles, 1863;
44. Internationale Studententagung Budapest-Riga-Tbilissi-Berlin, 7-12 August, Europa, Gemeinsame Fortschritte, enttäuschte erwartungen, Begründete Hoffnungen, Die Bedeutung Austauschseminars 2006 für die geoergischen Studierenden, 2006;
45. Schröder Friedrich-Cristian, Neue Tendenzen im Strafprozessrecht – Deutschland, Polen und die Ukraine, 2015;
46. Billis E., Die Rolle des Richters im adversatorischen und im inquisitorischen Beweisverfahren, 2015,
47. Ambos K., Zum heutigen Verständnis von Akkusationsprinzip und verfahren aus historischer Sicht, S. 593-594, JURA Heft 8/2008;
48. Weigend T., Rechtsvergleichende Bemerkungen zur Wahrheitssuche im Strafverfahren, Festschrift für Ruth Rissing-van Saan zum 65, Geburtstag am 25, Januar 2011, S. 750ff
49. Энциклопедический словарь, Томъ XXV, Праяга –Просрочка отпуска, Издатели: Брокгаузъ Ф.А. (Лейпцигъ), Ефронъ И.А. (С.- Петербургъ), С.- Петербургъ; Типо-Литографія Ефрона И.А., Прачешный пер., №6, 1898, 401-402; Никитин Е.Л., Актуальные проблемы прокурорской деятельности при осуществлении уголовного преследования., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Санкт-Петербург, 2000;
50. Фойницкий И. Я. Курс уголовного судопроизводства. Т. 1., СПб., (Переиздание 1996 года);
51. Полянский Н. Н. Уголовное право и уголовный суд Англии. М., 1969;
52. Смирнов А. В. Модели уголовного процесса. СПб., 2001;
53. Чельцов-Бебутов М. А. Очерки по истории суда и уголовного процесса в рабовладельческих, феодальных и буржуазных государствах. Т. 1. М., 1957;
54. Мещеряков Ю. В. Формы уголовного судопроизводства. Л., 1990;

## სასამართლო გადაწყვეტილებები:

55. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება N3 /1/608/609;
56. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განაჩენი;
57. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის საქმეთა სამართლის კოლეგიის 2013 წლის 2 დეკემბრის განაჩენი

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

58. Laukkanen and Manninen v Finland, ECtHR, 03/02/2004, §34; Kamasinski v. Austria, ECtHR, 19/12/1989, §102; Brandstetter v. Austria, ECtHR, 28/08/1991, § 67;
59. Rowe and Davis v. UK, ECtHR, (GC), 16/02/2000, § 60; Fitt v. UK, ECtHR, (GC), 16/02/2000, §44; IJL, GMR and AKP v. UK, ECtHR, §112; Goc v Turkey, ECtHR, (GC), 11/07/2002, §34; Meftah v. France, ECtHR, (GC), 26/07/2002, §51; PG and JH v. UK, ECtHR, 25/09/2001, §67; JJ v the Netherlands, ECtHR, 27/03/1998, §43; Ernst et al. v Belgium, ECtHR, 15/07/2003, §60; Duricz-Costes v France, ECtHR, §32; Skondrianos v Greece, ECtHR, 18/12/2003, §29.
61. Kamasinski v. Austria ECtHR, 19/12/1989, §102
62. Sanders A. (1994) From Suspect to Trial // The Oxford handbook of Criminology. Oxford. P. 773.
63. Laukkanen and Manninen v Finland, ECtHR, 03/02/2004, §34; Kamasinski vs. Austria, ECtHR, 19/12/1989, §102; გვ 203